

03-58

ჩ. სტყელიანი

# ივერია

1882

№ XI, ნოემბერი.

თბილისი.

ექვთიმე ხუციანის სტამბა.

1882

## შინაარსი:

I საწყალი ბივა, ჰოქმა, ი. ზაქარძისა . . . . .	5
II ისტორიული სურათები, (ქართველი ქალი) (შემდეგი). შდ. დამ. ჭანაშვილისა. . . . .	17
III სიხე შიგნიდამ გატეხილი, რამანი (შემდეგი). . . . .	43
IV მგზავრის შენიშენები საინგილოსა და ქიზიუზედ შაქროსა . . . . .	68
V ძართული თეატრი . . . . .	88
VI შინაური მიმოხილვა. ბ-ნ მვისნერის პროექტი შესახებ ღვინის აღებ-მიცემობის, ღვინის კეთებისა და არაყის ხდისა ამიერ-კავკასიაში—განკარგელება ამის თაობაზედ მთავარ-მართებლისა—სამეურნო საზოგადოება და მისი მოქმედება ამ პროექტის შესახებ—ცალკე კამმისია—აზრი წარმოთქმული კამმისიაში—ცალკე აზრი თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილისა—დასკვნა კამმისიისა—დასკვნა სამეურნო საზოგადოების საერთო კრებისა—ცალკე აზრი თ. ი. შალიკაშვილისა, ბ-ნთ იოსელიანისა და ელიოზოვისა—განხილვა ამ ცალკე აზრებისა და ბაასი მათ გამო სამეურნო საზოგადოების კრებაში. . . . .	97
VII ზანცხადებანი. . . . .	116

# ივერია

საკვლითი და სალიტერატურო  
ქუჩა.

6016

წელიწადი მეექვსე.

№ XI.



თბილისი.

ქუჩაზე სელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

1882



Дозволено цензурою. Тифлись, 1 Ноября 1882 г.

## საწყალი გიზა

(ამბავი უმაწვილებისთვის)

### I

ერთს ტუის ჰინასა,  
გორის ძინასა,  
სოფელი არის გაშენებული,  
წინ უძევს ველი,  
დასათესელი  
და კენახებით დამშენებული.  
ანკარა წყალი,  
ჩქარ მორბენალი,  
კენახებთ შორის მიმოჩქრიალებს;  
ცქვიტი მერცხალი,  
ფრენაში ძალი  
მის ტალღებს, ფრთას ცცემს და დასტრიალებს.  
მტრედთა ღუღუნი,  
გვრიტთა კრუტუნი,  
ისმის ძალაღის ხეებიდამა;  
მწერისა ძახილი,  
გულ-ამოსკვნილი  
მოდის აქა-იქ უანებიდამა.

ვიშ მალაღური!  
 დაუბდეთ ყური,  
 დაბურულს ტყეში როგორა გალობს,  
 და ჯაფანადა,  
 ჭურდი-ბაცადა,  
 ხან კატებზე კნაყის და ხან ჭრიალობს.  
 ამ სოფელშია,  
 მკათათვეშია,  
 მოხდა ამბავი დიდ სამწუხარო,  
 და ეს ამბავი,  
 გულ-მოსაკლავი,  
 მინდა გაიმბო შეიღო თამარო.

## II

სოფლის ბოლოზედ,  
 ტრიალს მინდოდაზედ,  
 შრომისა შეიღნი მკიდნენ უანასა,  
 გულთ ხარობდენ,  
 არ მოსწრობოდენ,  
 მკლავ მოსაკლავს ამისთანგსა!  
 ჭაშმის გრიალი,  
 ნამგლის ტრიალი,  
 უანას არსეკდა, ამრიალებდა,  
 მშიშარა მწუერსა,  
 ზურისა მტერსა,  
 გულს უხეთქავდა, აწიოკებდა.

მაგრამ ტორღლა,  
 მუშტისა ტორღლა,  
 მოძვლებს თავზედა დასტრიალებდა,  
 ხან მთა და ბარში,  
 ხან მადლა ტაში,  
 შტვენდა, გალობდა, დატყრიალებდა...  
 მკიან და მკიან,  
 წინ-წინ გარბიან,  
 მკმნეული მნის შეკვრას ვერ ანწრობს.  
 უნის პატრონი,  
 სოილის პატრონი,  
 თავს ადგას მუშებს, ღვინოს სთავაზობს.  
 სვე გაიტანეს  
 და დაისვენეს,  
 მოძვალთ ნამკლები დაატრიალეს;  
 მუხის ძირშია,  
 იმის ჩრდილშია,  
 ტუბილად სიმღერა ჩაატრიალეს.

ს ი მ ლ ე რ ა .

1

«გაკლესოთ ძებო ნამკალი»,  
 დღეს გნახავთ, გინც მამაცია;  
 ხედავთ უხვი მოსაკალი.  
 ჩვენთვის ღმერთისა მოუცია.  
 თანა ვმკოთ და თან ვიმღეროთ,  
 მკეუნის ბურჯად ჩვენ გვთვლიან;

წელს რომ ხალხი შევიჯვროთ  
მაღლობას შემოგვიტოვლიან.

## 2

დღე და ღამე ოფელში ვცურავთ,  
საქმეს ვსწავლით ღვთის საამოს;  
სხანს ბუდმა წილად გვარგუნა  
ჩვენ ვიშრომით და სხვამ სჭამოს...  
ახა, ძმანო, ერთიღ დავერათ,  
მუძნეულა მოგვეც მსანი;  
გავათავოთ და შეუგრათ  
ბატონს კარგი ჰურის ჯგაჩი.

## III

დიდ ძუხანს ძილში  
მდგარს უანის პირში,  
ამ სოხელის ბავშვნიც მოგვლოვილიყენენ,  
ხანა მღერობდენ,  
ხან თამაშობდენ,  
ხან ჩიტებს სდევენენ, ბუდეს უშლიდენ.  
მერე მღერთა,  
გზა-გზა შტვენითა,  
საბანათა გაქტნენ წყალზედ;  
არ წაიყვანეს,  
მარტო დასტოვეს,  
პატარა გიგა ტრიალს მინდარზედ.  
დიდ ხანს ტირილდა

ტოლთ მიჭყვიროდა,  
 მაგკამ მის ხეყენა აჩუინ ისმინა.  
 რა დარსა მარტო,  
 მოსტესა ხის რტო,  
 ჩიტს გამოუდგა და მოჩუხინა.  
 მას დიდ ხანს სდინა,  
 ვერ მოეწია,  
 დაილალა და ჩაჯდა უნაში,  
 იქიდან სტუკრეტდა,  
 როგორცა ჭფურუნდა,  
 ცქვიტი მუჭტსალი ლაყვარდსა ცაში.  
 მის ცქვიტაშია  
 და ალუკსშია  
 უნაში ტუბილად მსხუჩაქიძინა,  
 უნამ შრიალით,  
 ჩიტმა ცქვიტალით,  
 ჩვენს მონადირეს ყოთსკეს ჩანხანს.

IV

მზემ გადიწვიკა,  
 სიომ დაჭბეკა,  
 დაბინდა, მისწყდა ჭოპმის გრიალი;  
 მინდვრის ჩიტებმა,  
 დალაღულებმა,  
 შესწყვიტეს ფრენა, შტეკენა, ტკრტალი.  
 მიწყუნარდა აჩუ,

იქმნა მღუძარე,  
 მთა და ბარშია აჩუინ ხმაურაბს  
 მსოფლადა უანა,  
 ნიაგისგანა,  
 ზღვის ტალღებიგით დელავს, შრიალაბს.  
 ამ დროსა ბავშვსა,  
 ბუდითა შავსა,  
 გამოეღვიძა ღრმა მილისაგან,  
 იწყო ტირილი,  
 გულ-ამოსკვნილი,  
 შეშინებულმა სიბნელისაგან.  
 თან დადიოდა  
 და თან ჭეუიწოდა:  
 «მიშველე, კვებობი, ვამე დედასა,  
 არ წამიყვანეს,  
 მარტო დამაგდეს,  
 ამხანაგებმა, მინდოწზედასა»  
 იმედ მიხდილი,  
 მუხლ მოკვეთილი,  
 დაეცა,—უანა ზედ გადაეფინა;  
 ტირილით დაღლილს,  
 ძალა გამოეცლილს,  
 შატარა გიგას მსწრაფელ ჩაუძინა.

## V

მთვარე დიადი,  
 ვითა ხშიადი,  
 მთების იქიდაძ ამოეუდა;  
 იწუო კაშკაში,  
 მთასა და ბარში,  
 განათდა კელი და ღაღა ღუდა,  
 გიგოას კი სძინავს,  
 მძიმედა ფშვინავს,  
 ბადრო მთვარე მას არ ახარებდა,  
 სანდისხან მწკაკად,  
 გულ-მოსაკლავად,  
 «კამე დედა!» დაიკვნესებდა,  
 სულ დათვი, მკელი,  
 მშხამელი გკელი,  
 მას სდამარშობა ელანდებოდა,  
 და მათის შიშით,  
 ტირილით, ვიშით,  
 საწყალი გიგა ძილში სტებოდა,  
 მაგრამ მშველელი,  
 ნუგემ-მცემელი,  
 არაინ იყო უხლა ბავშვისა,  
 და მხოლოდ მთვარე,  
 სხივ-მომთუნარე,  
 «იყო მონაძე იმას ტანჯვისა,  
 უანაც აყრილი,

თავ-თავ დასრული,  
 მძინარე გიგას გადაჭყენოდა;  
 გუგონებოდა  
 ვცოდებოდა.  
 რომ იმას ღამე არ შესწვივნოდა.

## VI

მთვარე გაშვავებს,  
 წყალი ღამზღამებს,  
 დუმილი სუთუებს მთლად მინდორსკვდა;  
 მხოლოდ ისმოდა,  
 ვითა ტირილდა,  
 საწყალი გიგას ბედ-გარულს დედა  
 დედა საწყალი,  
 დედა გამშრალი,  
 თან შეიღს ეძებდა და თან ტირილდა.  
 ასე მოსთქვამდა,  
 მსმენელს გულს სწყავდა,  
 იმის ცოდვითა ქვტ ქვ იწოდდა  
 «ვაიმე შეილო  
 ზაწიავ, ტკბილო  
 ვაი შენს დედას! შენს დამკარგავსას  
 ვინ იცის გცვივა,  
 ცრემლები გცვივა,  
 ვინ შეგინებლავს ბედ-გარულს, ბედ-შვსას...»  
 მამაც ამ დროსა,

სოფლის ბოლოსა,  
 გიგას ეძებდა ჭედ-მოკლევილი;  
 მოკლე ყანები,  
 ტყე და ჭალები,  
 მაგრამ მაინც კერ იპოვნა შვილი.  
 ძებნით დაღლილი,  
 იმედ-მისდილი,  
 საწყალი მამა დაბრუნდა შინა;  
 ამის მნასკემა,  
 დედამ ბედ-შავმა.  
 რძივე ხელი თავს წაიშინა...

## VII

გათენდა დილა,  
 კვალად იხილა  
 თვალმა ბუნება გაღვიძებული;  
 მიმქრალდა შთგარე,  
 წუნარად მოარე,  
 დილის სინათლით შეშინებული.  
 ნაცვლად ცისკარმა,  
 პირ-მოცინარმა,  
 აღმოსავლეთით იწყო ღაუღაჟი;  
 ნეტა ვის გულსა,  
 სკვდით მოცულსა,  
 არა გაჭკურნავს ეს გარეყრავი!

შესვთ ბუნებუდა,  
 დანამუღბუდა,  
 რა ტკბილის ხმითა გალობს ბუღბუღი;  
 იმის მღერასა,  
 გულის მგერასა,  
 უერს უბდებს მწუკესი სულ-განაბული.  
 აგერ სერბუდა,  
 მწვანე კელზუდა,  
 გამაიშალა ბლავილით ცხვანრი;  
 მათ თუხის ხმაზუდა,  
 ფოთლის შრიალზუდა,  
 დაფთხა კურდღელი გულ-მაშიშარი.  
 ამ დროს უანაში,  
 ხან ტყე-ჭალაში,  
 გიგოს დედ-მამა მიმოვიდოდენ,  
 შეიღს დაეძებდენ,  
 ვერ პოულობდენ  
 და ამით ჭკვირით ისრუბოდენ...

VIII

დღისა მხათობმა,  
 ჭკუენისა მთობობმა,  
 დაჭუეკა ოქროს ფეკად უანები;  
 იმის სხივებზუდა,  
 კით ნაში კელზუდა,

დალაპლახობდენ ბასრი ნამეტლები.

მუშაკთ სიმღერა,

ნამეტლების უღერა,

გელად გაისმა მთასა და გელში,

მეურმეს მნითა,

ტუბილ სიმღერითა,

შიაქეს ურემი თავის სოფელში...

მუშებმა მკის დროს,

ზედ შუა-დღის დროს,

აზოგეს ბავშვი მიტყალებული.

ეს იყო გიგა,

ვაი რა რძგა

ქქონდა მას სახე დასიკებული!

თვითონ გლეხებმა,

მის მეზობლებმა,

საწყალი გიგა ძლივსადა იტნეს.

ბავშვი მამკვდარი,

უდროდ დამტყნარი,

სოფელში იმავე წამს წაასვენეს.

დედ-მამის ტკემა,

თავ-პირში ტემა,

არ ინახდა, — იყო საზარო,

მათი წუხილი,

ტულის დუდილი,

არც ენით ითქმის შვილთ თამარო.

გიგა დამარხეს,

ზედ ქვა დაადეს,

და იმ ქვაზედა ასე სწერია:  
 «განსორდა მსობლებს,  
 აწ აქ მდებარებს  
 გველისგან მკვლარი გიგოს მტკვრია.»

ი. ბაქრაძე.

1882 წ.

## ისტორიული სურათები.

(შემდეგი \*).

ქეთევან დედოფლის შემდეგ დედა-გატებს უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ მამა-გატებს, ვიდრე წინათ. ახლა ისინი უფრო ძლიერ ერევანს პოლიტიკურს საქმეებში და დიდი გავლენაც აქვთ ხალხის ცხოვრებაზე. ამისათვის საჭირო დროს შეეჩებო იუვანენ მძევლად მათს ცოლებს. ასე მოიქცა მაგალითებზე კასეთის მეფე თეიმურაზ პირველი, შვილი ქეთევან დედოფლისა. ლუარსაბ მეფის სიკვდილის შემდეგ იმან მოიწადინა ქართლ-კახეთის შეერთება. ამ განზრახვის თანახმანი იუვენ გავლენის მექონნი თავად-აზნაურნიცა; მაგრამ თეიმურაზი ბატონაშვილებს ვერ ენდო. ვინც იმათ შორის უფრო გავლენანი და გამომხენილი კაცი იყო, იმათი ცოლები თავისთან მძევლად მიიყვანა; მაგრამ ბატონაშვილებმა მანც უღალატეს იმას, რადგან სპარსეთს არ ჰსურდა ქართლ-კახეთის შეერთება და გაძლიერება, ამისათვის იმან (სპარსეთმა) დასვა ქართლის სამეფო ტახტზე როსტომ მუსრან-ბატონი. ისინი მაშინვე იმას მიემხრნენ. თეიმურაზს ეს ეწეინა და მოიწადინა მათ ცოლებსათვის, რომელნიც მძევლად ჰყვანდა, ცხვირ-პირის დაჭრა; მაგრამ ამის წინააღმდეგი გაუხდა მას ცოლი ხვარაშან დედო-

\*) «ივერია» № 10 1882 წ.

ფული. ეს იყო ლუარსაბ მეფის დანი. იმან ნება არ მისცა ქმარს დედათათვის ამ გვარი შეურაცხყოფა მიუყენებინა.

ზარათაშვილები თუმცა წინააღმდეგნი გაუხდნენ თეიმურაზს ქართლ-კახეთის შეერთებაზე, ქართლის თავადობამ მანძიკის სელი არ აიღო თავის განზრახვაზე. 1634 წელს როსტომ მეფე მოვიდა თბილისს და დაიწყო სამეფოს გამგეობა. მაგრამ ამავე წელს იმას უღალატეს: შაჰი ქრისტოვამ, იოთამ ამილახვარმა, ნოდარ ციციშვილმა, გიორგი გოჩაშვილმა და კვდემოს ქათალიაშვილმა ესენი იყვნენ თეიმურაზის მომხრენი. რადგან როსტომი მაჭმაღის მორწმუნე იყო, თავადობას და საჯაროს არ უნდოდა მისი მეფობა. იმათ ჭურჭლათ თეიმურაზის მეფობა და ესეც ამის მოწადინე იყო. ასტყდა მათ შორის ბრძოლა, მაგრამ როსტომმა ისინი დაამარცხა და მოიპყრდნენ შავრეთის ციხეში. ნოდარ ციციშვილს რომ გაუჭირდა საქმე, «ჩათრეულს ჩაყოლილთ ამჯობინა.» მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო მათ შორის შუამავალი, რომ მეფე და მოღალატეებნი შეერბებინა? ციციშვილმა აღიწივია ამ საქმისათვის თავისი დედა. იმან გაგზავნა ის მეფესთან სასვეწრელად. «როსტომი, მეფემ დიდი პატივით დასდვა და სასვეწარი დაუჭურა: გაცლის გზა სთხოვა, ვითარცა ნათესავი იყო მეფისა და მეფე დედათა შიგან სიკეთესოდ ნაქები იყო და საქართველოში ძველადგანვე წესად იყო, რომ ვისაც გაჭკირებია — შესახვეწრად ან დედასა და ან ჯვარდს გაუგზავნიდეს, მეფენი და თავადნი პატივს დასდებდნენ, — მეფემაც გაათავა ძველად წესი და უყენებლობის საიგიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისი მსლებლებითა და ქონებით, ჩემს სამეფოში კი ნუღარ დადგება»<sup>1)</sup>. ეს ამბავი მოხდა 1638 წელს.

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 520

ამის შემდეგ (1642 წელს) აუტყდათ ბრძოლა ახლად  
 ორივე მეფეთ—თეიმურაზისა და როსტომს. პირველს ან უნ-  
 დოდა მეორის მეუობა ქართლში. დიდ ხანს იბრძოდნენ. ბო-  
 ლახ თეიმურაზი დამარცხდა. ის მოამწყვდიეს ქიზიუს სოფ-  
 მადარბში და ენებათ მისი დაჭერა. გაუჭირდა თეიმურაზს საჭ-  
 ქე; მაგრამ აქაც ქალი აღმოუჩნდა მას მშველელად. რადგან მი-  
 სი ცოლი ხვარაზმან დედოფალი როსტომ მეფის ბიძა-შვილი  
 იყო, მივიდა მასთან, შეესვენა—ქმარი მისი მშვიდობიანად გა-  
 ნეტყვებინა. როსტომმა ხათრი ან გაუტყა და აღასრულა ნე-  
 ბა მისი: «მისცა ცხენები და ჯოჯონი, უძღვნა მრავალი, წა-  
 რუძღვანა ქათალიგოზი ურდუბეგაშვილი ქრისტეფორე და გა-  
 ისტუმრა იმერეთში იმავე დამეს, ხოლო თვითონ დაიპყრა კა-  
 ხეთი»<sup>1)</sup>. ამ სახით შეერთდა როსტომის მეფობით ქართლ-  
 კახეთი.

მაგრამ ამის შემდეგ ქართლის მეფეს ან დაჭვლებია ტახ-  
 ტის მტოქა. 1656 წ. მეფე თეიმურაზი წავიდა რუსეთს, მი-  
 ვიდა მოსკოვს, სასოჯა რუსეთს შემწეობა, მაგრამ, რომ ვერას  
 განდა, დასტოვა იქ თავის შვილის შვილი ნიკოლოზი. რომელ-  
 საც შემდეგში თუშებმა ერეკლე დაარქვეს. და მოვიდა ისევ იმე-  
 რეთს (1659 წელს), შედგა ბერად და 1663 წელს გარდაიცვალა.  
 აი ეს ერეკლე დაიბარა რუსეთიდან თეიმურაზის ასულმა იმე-  
 რეთის დედოფალმადრაქვანმა და მოიწადინა კახეთის ქართლისა-  
 გან განცალკევება. იმას განსწავლა ქვინდა: თუ კახეთში არა, იმე-  
 რეთში მინც არის გავამეფებ ირავლისაო. ის მოვიდა კახეთ-  
 ში 1662 წელს, როცა ჯერ მისი შავა თეიმურაზი ცოცხალი  
 იყო და მოინდომა მამა-პაპის ტახტზე აღსკვლა; მაგრამ კახ-

<sup>1)</sup> იხ ქართლ. ცხოვ ნაწ. მე II, გვ. 46 და 49.

ტანგმა ნება არ მისცა. მოუხდათ ბრძოლა. ერეკლე დამარცხდა გაიჭრა და შევიდა გაღმა-მხარს თორღუას ციხეში. ვასტანგი მას არ მოეშვა: მივიდა ღეგარს შემოადგა ციხეს. იმას უთუოდ დაიჭერდა ვასტანგი, თუ რომ დედა არ მიშველებოდა. ის დაუწრიდებლად გამოვიდა ციხიდან, მივიდა წინაშე ვასტანგის და უთხრა მსხედ: «რო რიგი არის, რომ მეფემ მეფის შვილი დაატყვევოს და გააძაჭმადიანოს. კესევეები ხელი აიღო ჩვენს გადარჩეულებზე და მისცე ჩემს შვილს გზა და განუტოლ.» ქართველთა ჩვეულებისამებრ მეფემ ხათრი ვერ გაუტუსა დიდებულს ქალს, «მისცა გზა ერეკლეს და გაისტუმრა ფარულად»<sup>1)</sup>.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ დედათა შუამდგომლობას ისეთი სიძლიერე ჰქონდა, ისეთი ფასი ედვა, რომ მისი სიტყვისა ღეგარსის გატეხას ვერაჟინ ბედავდა. ვასტანგს ერეკლე არ უნდა გაეშო, რადგან სპარსეთს არ ესამოხუნებოდა და ამისთვის დასჯიდა კიდეცა, მაგრამ ჩვეულების წინაშე ის თავს იდრეკს, მის აღსრულებისთვის თავს არ სოგავს და «ფარულად განუტეკებს.» ერთის სიტყვით, სადაც დედა-გაცი შუამდგომლობს, აქ პირადს სასრებლობას ადგილი არა აქვს. 1714-სა და 1716 წ. ვასტანგ მეექვსეს შვილმა ბაქარმა დაატუსადა თავისი მტრები და მამის ბრძანებით თვალები უნდა დაეოხნარა მათთვის, მაგრამ რუსუდენ დედოფალმა, ბაქარის დედამ, «არ აუფლავ», და ახსნა ისინი დასჯისაგან (იხ. იქვე).

ვასტანგ მეფისაგან დამარცხებული ერეკლე პირველი წავიდა ისევ რუსეთში (1664 წელს). აქედგან ის დაბრუნდა და მივიდა სპარსეთში, საცა დარჩა 14 წელს. აქ შეერთო იმან

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მ. II, გვ. 52, 78, 79 და 126.

ცოლად ანნა ჩოლკოვაშვილის ასული და მიიღო მაჭმადის სჯუ-  
ლი. ამ ქალისაგან მას ეყოლა სპარსეთში ორი შვილი: დავით-  
თი და ელენე, რომელსაც სპარსულად ბანჯანუმ ერქვა. ანნამ  
თუშტა სჯული შეიტყვალა, მაგრამ, არც თვითონ დაივიწყა თა-  
ვისი სამშობლო ენა, და არც შვილები დასტოვა მისი უცო-  
დინარი. მისმა შვილმა დავითმა — თუშტა «სრულიად მიქცეული  
იყო წესსა-ზედა და სჯულსა მაჭმადისასა, იყო უმეტარი ქარ-  
თველთა ზნისა, — წიგნი და ენა ქართული და სპარსული ოცო-  
და წარჩინებულად.» სამშობლო ენა იმან შეისწავლა სპარსეთ-  
ში დედისაგან, რომელიც ისეთი მოხერხებული დედა-კაცი იყო,  
რომ იქიდანვე მეცადინეობდა სამშობლო ქვეყნის დიდებასა და  
ერთობისათვის. როცა დაბრუნდა სპარსეთიდან საქართველო-  
ში, იმან დაუყოვნებლივ მიიღო ისევ ქრისტიანობრივი სჯუ-  
ლი. მისი ქმარი მეფე ერეკლე ამის შემდეგ ისევ სპარსეთში  
წავიდა და იქ მოკვდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამას უკან გაჭ-  
ყვა შვილი დავით, რომელიც კასეთში მეფედ იყო დანიშნუ-  
ლი მამის მაგიერად; მაგრამ ანნა დედოფალმა იესი ალარ მო-  
იცვალა სამშობლოდან. იმას ჭეუანდა კიდევ მესამე შვილი თე-  
იმურაზი, რომელიც მას საქართველოში გაუხნდა და იყო ამის  
ანაბარად. დავითმა ეს დასტოვა თავის მემკვიდრედ. იმას ამ  
დროს ცოლად ჭეუანდა ბაინდურ ერისთვის ქალი. მაგრამ ქართლ-  
კასეთის ერთობისათვის დედამ გააშეპინა შვილს განონიერი  
ცოლი სამღვდელთების თანხმობით და შერთო კასტავ მე-  
ქესეს ასული თამარ; მოყვრობის საშუალებით იმან შეარიგა  
კასეთისა და ქართლის სამეფო გვარნი. თეიმურაზ მეორემ და-  
იწყო მეფობა, მაგრამ ყოველისფრის მომქმედი იყო დედა  
მისი ანნა. მის დაუკითხავად თეიმურაზი სამეფოში არას აკე-  
თებდა. ის მოკვდა 1716 წელს და დაასაფლავეს ალავერდს.

მისი შვილის-შვილი იყო სასელოვანი მეფე ერეკლე მეორე.

დედის სიკვდილის შემდეგ თეიმურაზი მანც კერ განთავისუფლდა დედა-კაცის გავლენისაგან. იმას საქართველოში ჰყვანდა თავის ძმის დავითის ცოლი. ანა დედოფალი რომ გადაიტყალა, კახელებმა უარ-ჰყვეს თეიმურაზის მეფობა, მაგრამ ეს რძალი მას წაესარჩლა, დაამკვიდრა ტახტზედა და მისი შემწეობით, წყალობითა და ნება-ყოფლობით განაგებდა კახეთს მეფე თეიმურაზ მეორე<sup>1)</sup>).

ამავე ხანებში მოქმედებს სპარსეთში დედის წარმატებით ჩერქეზოვის ქალი, რომელიც იყო ცოლი სპარსეთის ხელმწიფისა. ამ დედოფალს ქმრისა და შვილის სიკვდილის შემდეგ დარჩა მცირე-წლოვანი შვილის-შვილი შაჰ-აბას მეორე. რადგან მას ჯერ არ შეეძლო სახელმწიფო საქმეების მართვა, ამისათვის სპარსეთის გამგეობა ამ ჩერქეზოვის ქალს ეჭირა. „ქაინი ყმაწვილი იყო, აძობს ქართ. ცხოვ., ბუბია მისი ჩერქეზის ქალი იყო, და ჭკუიანი მანდილოსანი ბრძანებლობდა და მისი სიტყვა გადიოდა.“ სპარსელებს ეს არ მოსწონდათ და ენებათ მისი გაგდება სახელმწიფოდგან. იმათ ძალიანა სწყენდათ, რომ სპარსეთში ქართველობა ძალიან გაძლიერდა და ენა ამოიღვა. ამ დროს აქ იყო 30,000 ქართველთაგან შემდგარ ჯარი. ამათ შორის ბევრნი სახელმწიფოში უპირველეს თანამედრობის ხარისხზე ასულიყვნენ: ზოგნი იყვნენ მინისტრებად, ზოგნი ჯარის უფროსად, ზოგნი სასახლის გამგებელად. შაჰის მცველ ჯარსაც (ამაღას) შეადგენდნენ აგრეთვე ქართველები. რადგან ქართველი ქალები ძალიან ლამაზები იყვნენ, ამი-

<sup>1)</sup> ან. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 131, 133 და 136.

სათვის არ იყო ისეთი წარჩინებული სპარსელის ოჯახი, რომ ქართველი ქალი არ ყოფილიყო. ამ სახით თვით სელმწიფუნიც დედით ქართველი იყვნენ. ამ უმად უპირველესი დედოფალიც ქართველია. ამ გარემოებათა გამო ქართველთ დიდი გავლენა ჰქონდათ სპარსეთში. ეს სწეინდათ აქაურს ხანებს და ეწადათ უაქნთა გვარეულობის გაწვევტა.

მაგრამ დედოფალს ძლიერი მომხრენი ჰქუანდნენ. ჯერ ამათი გაწვევტა იყო საჭირო, იმათ მოუშორებლად მტერობის გამოცხადება საშიში იყო. ამისათვის ჯანი-ხანმა ღაღატობით, ღოჯვის დროს, მოჰკლა დედოფლის პირველი მინისტრი მირზა—თავი ეტიმადოვლე და მეტყე ეწადა მისი ამალის ამოწვევტა, ხოლო ამის შემდეგ ასალ-გაზდა ტატიის მიკვიდრეტ უნდოდა მოკლა და დედოფალიც გაეღვენა.

ეს ამბავი დედოფალმა შეიტყო, მაგრამ ხმა არ ამოიღო. არც უჩვენა მტრებს სასე, ვითომც იმას შეტყუობილი აქვს მათი განზრახვა. მან უბრძანა იმათვე: «რადგან მირზა-თავი ეტიმადოვლე მოგიკლავთ, ასლა, ვინცა გნებავდეთ ის დასვით პირველ მინისტრად; მე საქმეში აღარ ვერკეო.» მაგრამ ამ დროს სიომ-ხანს ძალვით მისწერა ქართულად: «რა იქნა თქვენი ვაცობა, და ან რითა სჩანს თქვენი ერთგულება ჩემს ოჯახისადმი? ჯანი-ხანმა ეტიმადოვლე (პირველი ვეზირი) მომიკლა და თქვენ ეს დასთმეთ და არა სთქვით-რა. დღეს არის თუ სვალე თქვენც დაგხოტენ და მეტყე შეილსაც მომიკვლენო. ახლა თუ ჩვენი ერთგულები ხართ, ხუღარ აგვიანებთ, თორემ კიდევ ისინი დაგასწრობენ. ვისაც ენდობი ქართველის შეილებს, უბრძანე ყოველ დამეს იანადით სასახლეში მოვიდნენ და ვინც მტრები არიან, ცოცხლებს ნუ გაუშვებთო.» ამ საქმეში ერევნენ ზალ ერისთავი და იოთამ ამილახორი, რომელ-

თავ, როგორც ზემოთა ვსთქვით, თეიმურაზს შირველის დროს ქართლ-კახეთის შეერთება ენებათ. მეშვიდე ღამეს, დედოფლის ბრძანებისამებრ, ქართველთ სავატიო შეილები იარაღ-შემორ-ტყმულნი ხელმწიფის სასახლეში მოვიდნენ. მეორე ღღეს ჯანი ხანიც დაიბარეს. ის ამაყად და შეუპოვრად მოვიდა სასახლეში. ქართველნი რომ წინ მიეგებნენ იმას ეგონა უწინდებულად ვატივსა-მცემენო. მაგრამ ამ დროს სტატუს ხელი და იქვე მოჭკლეეს. მერვე წაუშინეს მის მომხრეებს, რომელნიც მასთანა ჰყვანდა. ერთის წამის განმავლობაში მოჭკლეეს 24 ხანი, სულთანი და ბეგლარი, და მათი მძოვრები ქალაქის შეიდანზე გადაყარეს. ამის შემდეგ დედოფალმა უბრძანა მათი ქონებისა და ოჯახების აკლებაც, და ისე გაძლიერდა, რომ ქართველთ შემწეობით სპარსელებს სისხლს უშრობდა და ყველას მუსხინათებს ეძახდა.

დედა-კაცების მიღავრობა, ანუ უკეთა ვსთქვით, მათი გავლენა მამა-კაცებზე მარტო ქართლ-კახეთის ისტორიაში არა სჩანს. იმათს სიტყვას იმერეთშიაც დიდძალად აქვს. მაგრამ იმერეთში ქალების მოქმედებას სხვა საჩხელი უღვევს. აქა აქეთ მათ სასუში უფრო შირადი საჩხებლობა, და არა მთელის ქვეყნის ინტერესი. ავით თუ კარგად ქართლ-კახეთში ქალები მოქმედებენ იმ განზრახვით, რომ ქვეყანას საჩხებლობა მოუტანონ. იმერეთში კი შემდგარა სხვა-და-სხვა ვარტიები, რომლებშიაც ქალები დიდს მონაწილეობას იღებენ, მაგრამ მხოლოდ საუთარს გაძლიერებას, გამდიდრებას და საჩხებლობას მიესწრაფებიან და ამ სურვილის მისაღწევად ისინი მეტის-მეტად ბოროტად მოქმედებენ. მაგალითად, ერთობის ჩამოსაგდებად და გასაძლიერებლად ქართლ-კახეთის მეფემ ვასტანზე მესუთემ და მისმა ცოლმა მარიამმა მოიწადინეს თავის შეილის არჩილი-

სათვის გამოე დადინის ასულის შერთვა და დანიშნეს კიდევ; მაგრამ ცოლი დადინისა ამაზე თანხმად არ გახდა. «შორს არის, მე ქართლში ქალს არ გავატხოვებო», და იმდენი ჭქნა, რომ უარი ათქმევინა ქმარს. «უსმინა მანცა და მისცა ბუყან ღოღობეკიძეს ქალი იგი ცოლად, და მოჭხდა ამის გამო შუგთი ღ ბრძოლა (1661 წ.) ურთიერთ შორისა»<sup>1</sup>).

ამავე დროს იმერეთში მოქმედებს კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი. ეს იყო სასულთქანის ზურაბ ერისთვის ცოლად ნამყოფი. ის მან შეირთო დიდი მოურავის სააკაძის რჩევით. მაგრამ 1629 წელს თეიმურაზმა მოკვლა ეს თავისი სიძე და დარეჯანი წაიყვანა დუშეთიდან კახეთში. ამავე წელს იმან მიათხოვა ის იმერეთის მეფის შვილს ალექსანდრეს. მაგრამ 1660 წ. ალექსანდრე მოკვდა ღ დარეჯანს მისგან შვილი არ დაჩნდა. გამოედა მისი გერი ბაგრატი, მაგრამ სამეფოს განაგებდა დარეჯანი, და ზრბ ისა. დედი-ნაცვალმა მას ძალად შერთო თავისი ძმის დავითის ასული ქეთევან და მოზღუჭა თავის ხელში სრულიად მეფის უფლება, მაგრამ ეჭვის თვის შემდეგ ის დაიჭირა, წაართვა კანონიერი ცოლი, დასთხარა თვალები, შეირთო თავათ ქმარი ვახტანგ ჭუნაშვილი და დაიწყო თავის ნებაზე სამეფოს გამკეობა. იმერეთში ეს საქმე არ იყაბუდეს. მაგრამ დარეჯანის დამარცხება მართლ იმერეთს არ შეეძლო. სთხოვეს შემწეობა სასლ-ცინის ოფშას ასლანს. უკანასკნელი მოვიდა ჯარით, დაიჭირა დარეჯანი, მისი ქმარი და ქეთევანი; წაიყვანა სასლ-ცინის მხარეს და დასახლა ოლთისს; იმერეთში კი გამოევა ისეკ ბაგრატი, რომელიც ახლა უსინათლო იყო.

<sup>1</sup>) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 51 და 203.

რადგან დარეჯანმა ამას ცოლი ქეთევანი წაართვა, ამისათვის ის დაინიშნა ახლა ქართლის მეივის ვახტანგის ძმის ქალზე, რომელსაც ერქო თინა. ის უკვე წაიყვანეს იმერეთში, მაგრამ ბაგრატმა ჯერ-ჯერობით მასზე ჯვარი არ დაიწერა. თურმე მის დაზე თამარზე სჭერია მას თვალი, რომელიც ლევან დადიანს ჰქვანდა ცოლად. აუტუნა ამას ბრძოლა ჯ დაამარცხა, წაართო ცოლი თამარი და მასზე ჯვარი დაიწერა; თინას განება თავი; დადიანს კიდევ ძალად შერთო ცოლად თავისი ქვრივი და და მისცა მერმე სამფლობელო.

იმერეთში ასე არეულ-დარეულად რომ მიმდინარეობდენ სამეფო საქმეები, ბოროტი დარეჯანი გულ-სულ-დაკრეილი არ იჯდა ოფთისში. იმან გამართა მიწერ-მოწერ ქართლის მეფესთან. ის უჩნევს ვახტანგ მეფეს: შერთე ქეთევანი შენს შვილს არჩილს, რომლის გამეფებაც შენ იმერეთში გსურსო, და მეც იმდენი შეძლება მომეცო, რომ თავი დავიხსნა ფაშისაგანო. საქმე გარიგდა. მისცეს ფაშას 20,000 მარჩილი. არჩილმა შეირთო ქეთევანი დარეჯანს განთავისუფლდა. მოვიდა ქმართ ისევე იმერეთში და ფაშის შეწყობით 1668 წელს ხელ-მეორედ გამეფდა. ბაგრატი ქართლში გაიქცა. მანამ დვირად დაუჯდა დარეჯანს აძენი არევ-დარევა ქვეყნისა. ამავე წელს ერთ დიღას, როცა ის ქუთაისის ციხეში თავს იხურავდა და იკაზმებოდა, შეუარდა ოთახში ხოსია ლაშინიშვილი და მოჰქვას დარეჯან დედოფალი შუბით და ამის შემდეგ იმერლობამ მას ზედ წააკლა ქმარიცა<sup>1)</sup>.

გამეფდა იმერეთში კიდევ ბაგრატ უთვალა. მაგრამ დადიანმა ის არ მოასვენა. ის მტრობდა მას ცოლის წართმევი-

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 202-205.

სათვის, რადგან თამარი იყო თრიალ კეკელუცი და აღმატებული მშვენიერებითა, ზრული უმეტესადა, შეეცდნენ მას აგრეთვე გიორგი გურიელი და ასალ-ცინის ტამარა<sup>1)</sup>. გასდა თამარი ბრძოლისა და სისსლის დანთხევის მიზეზად. ბეკრი სისსლი დაიღვარა მის გულისათვის, და ამ არეულობის ბოლო აღარა სჩანდა. მაშინ ბაგრატმა განიზრახა გურიელთან შერიგება. მისცა მას ცოლად თავისი ასული დარეჯანი, რომელიც მას თამარისგან ჭეკანდა, «რათა დაუტოოს მის ტრფიანება თამარისა.» ის იყო მაშინ 11 წლისა. ამავე წელს მანუხარ დადიანმა 8 წლის ქალზე ჯვარი დაიწერა. ეს ქალი იყო კასტანტ მეფის შვილის არჩილის ასული.

არჩილისა და მანუხარ დადიანის მოუერთობის განზრახვა ის იყო, რომ კასტანტს ჭსურდა იმერეთში თავის შვილის გამეფება და ამისთვის საჭირო იყო დადიანის მომხრეობა. 1678 წელს მის მომხრეობით იმან მართლაც ჩამოაგდო ტახტიდგან ბაგრატი და გაამეფა არჩილი. ამან კიდევ დადიანს ლეკანს მადლობა იმით გადაუხადა, რომ დაიჭირა სვანდის ციხეში თავისი ბიძა-შვილი თამარი, ცოლი ბაგრატისა, და მისცა იმასვე ცოლად.

მაგრამ 1679 წელს ბაგრატმა ისევ დაამარცხა გიორგი გურიელის შემწეობით დადიანიცა და არჩილიც, წაჭკვარა ლეკანს ისევ ცოლი თვისი თამარ და კიდევ დაიპყრო იმერეთი. იმან იმეფა კიდევ ორი წელიწადი. მოკვდა 1681 წელს. გაუხარდა გურიელს. განუტევა ცოლი თვისი დარეჯანი და შეერთა სიდედრი თამარ. ამ მიზეზით გაშეიკდა გურიელი იმერეთში. თამარი გასდა ასალის ქმრის ძლიერი მხარველი ქართლის

<sup>1)</sup> იხ. იქვე გვ. 205.

მეტეს გიორგი მეთორმეტეს ჭსურს გაამეფოს ალექსანდრე, შვილი ბაგრატ უთვალსი, მაგრამ დედა ამას წინააღმდეგია. ძე ლომსავით ის დასტრიალებს მთელს იმერეთს თავს. მისი წინააღმდეგია ყველა, მაგრამ ამდენს თრეკაში ის კიდევ არ გატყუდა და არ მონელდა მისი მსურველე გვამი. ის ეწინააღმდეგება მთელს იმერეთს, მეფე გიორგის და ახალ-ციხის ფაშას. არ უნდა რომ დაუთმოს შვილს მეფობა. ყველას ურჩევნია მას ახალი ქმარი გიორგი გურიელი. ის დადის მთელს იმერეთში და არიგებს სალხს, არ მიემხროთ ალექსანდრეს, ჩემს შვილსა. ამ განზრახვით ის წაჰიდა სამეგრელოშიაცა, საცა ქმარ-უოფილი მისი ლევანი უკვე მკვდარი იყო, «რათა არა მიემხრნენ ოდიშარნი ალექსანდრესა.» მაგრამ ამ მოგზაურობაში მან უეცრად დაღია თავისი უღვთო სული. ხალხში ხმა გაკარდა, რომ დედოფალი ორსულად იყო და «შობასა შინა შვა ცუცხლი და მოკვდა»<sup>1)</sup>. ამავე დროს ქაისოხრო ციციშვილის რძალმა, აგრეთვე სასულად თამარმა, ხმა დააგდო ხალხში, რომ ვინც ქრისტეს სჯულს უარს ჭყოფს და მამადიანდება, მისი სული სიკვდილის შემდეგ ძაღლის ლეკვად იქცევა, ღამ-ღამობით ამოდის სამარადგან და წკაწკაურობს სასაფლაოზედა. ასე ემართება გივი ამილახორის ანდრეაფარის შვილის სულსა, ამტკიცებდა ის საშინელის ფიციოთა. ამასვე ამტკიცებდა ერთი ვიღაცა ივანეშვილი თავის მამის სულის შესასებ, და არც გასაკვირია, რომ ამ დროს ასეთი ხმები ვრცელდებოდა ხალხში. ეს დრო მეტის-მეტად მწარე დრო იყო საქართველოსთვის. «ყამთა ამათ იქმნა განტეკება ცოლთა, კვლა კაცთა და იდუმალ ტუვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა-ზედა მრავალნი საქმენი»<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> იხ. იქვე გვ. 209.

ამ დროს იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში თავადიც, აზნაურიც, ძღველიც, ბერიც, ერიც, მეფეც და დედამამაც ყველანი ზნე-გაიფუჭებულნი არიან. იშვიათად ნახვით მალაღ წოდების ქალს, რომ მთლად არ მისცემოდეს გულის-თქმის დაკმაყოფილებასა. ცოლისაგან ქმრის განტეკება და ქმრისაგან ცოლისა, ურთი-ერთისთვის დალატობა, ცოლთაგან ქმრების სოცვა, თავად-აზნაურთაგან ორ-ორ ცოლის ერთად შერჩევა — ეს ყველაფერი შეადგენს მაშინდელ დროსთვის და უზრახველ მოკვლენას. ამ დროს ქალი ზნეობით და კეთილის აღზრდილობით ვი არ ფასდება, არამედ გლისზობით, მხაკვრობით და სხვანა. დიდებულნი თავადნი ეძებენ იმისთანა ქალს, რომელსაც ძლიერი და გავლენის მქონი ნათესავები ჭყავს: აქ კეთილ-ზნეობას ადგილი არა აქვს; ისინი მოყვრობით ეძებენ გაძლიერებას და არა ჭკუით და ცოდნით. მაგრამ თუ სიმკეს იყოს გადაუბრუნდა, დამარცხდა, დამბლა გახდა, დაინაგრა, მაშინვე იმას კანონიერს ცოლს ართმევენ და სხვას აძლევენ, რომ ამ საშუალებით გადაეგ შეძლე მომხრეები იშოვნონ და გაძლიერდნენ. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მიმსუდარვართ: ქალები აკაკშირებენ, ამეგობრებენ, უსერგავენ და შთააგონებენ მამაკაცებს ურთი-ერთის შემწობას მოყვრობის მიზეზით, თუ ამის მომხდენი არის მხოლოდ უბრალო სათრი და სიყვარული ცოლისა? თუ სიყვარული და სათრი ცოლებისა ამოქმედებს ერთად მოყვრებს, მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დამბლა ქმარს მაშინვე ართმევენ ცოლს და აძლევენ უფრო მხნეს, ძლიერს და გავლენიანს? ამის მიზეზს ჩვენ ვერ მივხვდარვართ, მაგრამ იმ ფაქტს ვა ცხადად ვხედავთ, რომ მოქმედებაში, თუ არა უფრო ძლიერნი, ნაკლებნი აღარ არიან ქალები მამაკაცებზე. ისინი ორავინი ქიშპობენ; იბრძვიან, ხოც-

ვენ მოწინააღმდეგეთ და ამ მხრით არიან ერთსა და იმავე ჭან-  
 ჰან-წყევტაში. არიან ისეონი დრონიც, როცა ქალების ხელშია  
 მთლად ბურთი და მოედანი მოქმედებისა. ისინი განაგებენ იმე-  
 რეთის საღისის ცხოვრებას; მამა-კაცი მოქმედებენ იმათის ჩა-  
 გონებით და განკარგულებით. ერთის სიტყვით, დედა-კაცების  
 გავლენა კაცებზე ისეთი ძლიერია, რომ ვისაც მამა-კაცს ჰსურს  
 ჭკვიანის ბედის ხელში ჩაგდება, — ეძებს სიძეობას გამოჩენილ  
 და გავლენიან გაცისას. ასე ჭიფიჭობს არამც თუ თავადი, არა-  
 მედ თვით მეფეცა. ვეფლას ჰსურს ქალების შემწეობით იღლე-  
 სასწაულად ყაში თვისის საწუთრო ცხოვრებისა.

1683 წელს ალექსანდრე მეოთხე გაძეულა თუ არა იმე-  
 რეთში, მაშინვე თავისი დაი დატოვებდა, გურიელის ცოლად ნამ-  
 ყოფი, მისცა შაატა აბაშიძეს, რადგან ამ დროს ეს კაცი ძლიერ  
 განდიდებულ იყო. მეფეს სურვილი აუსრულდა. აბაშიძეები და  
 მიქელაძეები რადგან მოყვრობით ნათესავნი იყვნენ, ვეფლანგ  
 იმას მიემხრნენ მძალდობისა გამო. ამ სახით მეფემ შეადგინა  
 ძლიერი პარტია გურიელის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ დროს არც ეს უკანასკნელი ზის გულ-სულ-  
 დაკრეფილი. ისიც მეტადინეობს გაძლიერდეს მეფის წინააღმდეგ.  
 რაჭის ერისთავმა შოშიტამ, ბუჯან ლორთქიფანიძემ, გიორგი  
 ლიპარტიანიძმა (ჩიქვანიძე) და გურიელმა შეკრეს ურთი-ერთ  
 შორის პირობა — იმოქმედონ მეფის წინააღმდეგ. ამით არ ენე-  
 ბათ ალექსანდრეს მეფობა.

ასტყუდა მათ შორის ბრძოლა. მეფემ ისინი დაამარცხა,  
 მაგრამ ბრძოლაში შაატა აბაშიძე მოჭკლეს. მეფეს მოაკლდა  
 ძლიერი მომხრე. მაშინ ის შეუხნდა რაჭის ერისთავს შაპუნას,  
 გადაიბირა, გააშვებინა კანონიერი ცოლი, ასული ბუჯან ლორ-  
 თქიფანიძისა, მოიყვანა თავისთან კიდევ დაქვრივებული დაი და

რეჯან და მას შერთო. იმავე დროს ლეჯან დადინს შერთო თავისი მეორე დაი თინათინ და ამირს რსიც გაიმეგობრა შეი-  
რიგა და მომხრეთ უჩინდა.

მაგრამ საუბედუროდ ალექსანდრეს მტრად გაუხდა ქარ-  
თლის მეფე გიორგი მეთორმეტე. ამას უნდოდა გაემეფებინა  
იმერეთში თავისი უფროსი ძმა არჩილი. ამ განზრახვის აღ-  
სასრულებლად იმან შერთო თავის ძმის ლუარსაბის ასული  
ელენე რაჭაში ქაიხოსრო იაშვილს და მოუყენა არჩილს შემ-  
წოდ. ამით გადაამტკნა ალექსანდრე მეფე და იაშვილი ერთმან-  
ერთს. ამათ ერთმანერთი კარგად შებერტყეს. მეფე დასუსტდა.  
ამ დროით ისარგებლა არჩილმა და მართლაც გაძეოდა სელ-  
მურად იმერეთში. მაგრამ ის მანც არ ამეფეს. ახალ-ციხის  
ფაშის შემწეობით ალექსანდრემ 1691 წელს გააგდო ის იმე-  
რეთიდან და დაიჭირა ისევე თავისი სამკვიდრო ტახტი. მა-  
შინ არჩილმა განიზრახა რუსეთში წასვლა; გადაიარა რაჭიდან  
კავკასიის მთები და მივიდა ჩერქეზეთში ყილჩიყო ბატონთან.  
ამასთან დიდ-ხანს დარჩნა. ყილჩიყო მას დიდს პატივს სცემდა:  
ანადიმებდა და ანადირებდა, მაგრამ გულში კი ნამდვილი მტე-  
რობა ედგა. სპარსეთის შაჰს თურმე დიდ-ძალი ფული გამო-  
ეგზავნა უაზიუშუმხის ხანისათვის და ეთხოვნა, როგორმე ქრთა-  
შის მიტოვით არჩილი დაიჭირე და გამომიგზავნე აქაო. იმას  
ეს ამბავი ყილჩიყოსთვის შეეტყობინებინა და დიდი ქრთამიც  
მიერა. ესეც თანხმად გამხდარიყო და ეკებდა. მარჯვე დროს მის  
დასატყუებლად; მაგრამ ისე ნაირად, რომ თვითონ არ გა-  
მოჩენილიყო, ამისთვის ინახავდა თავისთან და განკებ პატივსა-  
სცემდა.

1692 წელს არჩილი გაემგზავრა რუსეთისკენ. ყილჩიყო  
გაედევნა მას უგან. ერთ ვაწრო სეობაში ჩასაფრებულად მისი-

გატეხი გამოცვივდნენ და ორმა მათგანმა სტატეს უემრად ხელი აქედ-იქიდან შელახებში. იშიშვლეს ხმლები აჩილის მსლებლებმა. ორმა ბერმა ნიკოლაოზ აბაშიძემ და შალვა-შვილმა წაიძრეს მასხვილები, რომელნიც მათ სამოსელს ქვეშ ჭქონდათ დამალული ღ განათავისუფლეს აჩილი. ასტუდა სასტიკი ბრძოლა. «ისადა მეფემან შეილდ-გაპარტი და მოსწნა მრავალნი.» დიდ ხანს იბრძოლეს, მაგრამ მეფე მანც ვერ დაიჭირეს. «განვლო ბრძოლით მეფემან რაზმი მათი და წარვიდა ღტოლვით. მაგრამ ჭენებსში ცხენს შარდი დაეჭირა, «განსივდა და გერღვარა რბოდა.» მაშინ გიდეგ მოესივნენ ჩერქეზნი და ასტუდა კვლად ბრძოლა. მეფემ გიდეგ «ძლიერად იბრძოლა.» ჩერქეზთ იმედი გაღუწყდათ მის დაჭერასე. მაშინ იხმარა ერთმა ლეკმა ცბიერება, მიუახლოვდა მეფეს და უთხრა: «რად მოივლავ უებროსა თავსა? გამა აჩს სიმხნედ, რომელი დღეს ჭყავ შენ! აწ დაიძაბლე თავი და მოკედ ჩემდა, ვფიქრებ განგარინო ფოკლისაგან.» — მეფემ უპასუხა: «არა მიკენდო ჩერქეზთა, გარნა მოვალ შენდა.» მაგრამ ამანაც გასტეს თავისი ფიცი და მიიყვანა ის ყიფჩიყოს სახლში. სახლის პატრონი არ ეჩვენა აჩილს.

«მასვე ღამეს ყიფჩიყოს ცოლმა გავზავნა მეფე აჩილი ბასიანს,» რომელიც შეადგენდა ქართველთა სამფლობელოს და „სპანი მისნი დიგორს“, რომელიც აგრეთვე იყო ნაწილი სასართველოს სამეფოსი<sup>1)</sup>. ამ უკანასკნელს მასწავში იყვნენ ამ დროს აჩილის შვილებიც<sup>2)</sup>.

ჭქონდა თუ არა ყიფჩიყოს ცოლსაც განზრახვა აჩილის.

1) იხ. ვახუშ. გეოგ. გვ. 450 და 452.

2) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 61.

განთავისუფლებას, ეს ჩვენ არ ვიცით; მაგრამ ბასიანში მცხოვრებ ქართველებისა და რუსების ქალებმა არჩილი არ დაანებეს შტურს. მოვიდნენ თუ არა ვაცები არჩილის წასაყვანად, მაშინვე შეიყარნენ ბასიანის ქალები, მოისადეს ლეჩაქები, მივიდნენ ქმრებთან და უთხრეს ვაჟ-ვაცურად: «ან ჩვენი ლეჩაქები დაიხურეთ თავზე და თქვენი ქულები ჩვენ მოგვეცით, ანუ ჩვენ არსოდეს არ მივცემთ, არჩილს უიღვიოთ.» მეორე ღამეს ბასიანისა და დიგორის ქალებმა მართლაც განთავისუფლეს არჩილი და მისი მოგზაურნი და გამოისტუმრეს ქართლს<sup>1)</sup>.

ამ დროს მეფე ალექსანდრეს მაგრად ეჭირა თავისი ტახტი. ის იყო «მხნე, ხბოვანი, ჭკუროვანი და უხვი», მაგრამ ზნეგაფუჭებული ჭქონდა. იგი იყო ხელად-მჭტევი, ცუნდრევი, უღვთო და ტყუათ გამედიველი. პირველი მისი ცოლი არ იყო კანონიერი. ის ჭყვანდა იმას ხასად; მაგრამ რა შვილი რომ გაუჩნდა—გიორგი და სვიმონი, მოაწადინა მისი განტყუება და შერთვა გიორგი აბაშიძის ასულისა. რათა? რისთვის? ამიტომ რომ გიორგი, თუძვა წინად ბერი იყო, მაგრამ მერმე გაკრეჭილ იქმნა (1685 წ.) და ისე გაძლიერდა იმერეთში, რომ თავის ძმას შატა აბაშიძეს დაემჯობინა დიდებით და მძლავრობით. ამასთან დამოუკრება ხლდა ძლიერ საჭირო იყო მისთვის. იმან სთხოვა მას ქალი თამარ, რომელიც ჯერ თვის წლისა იყო. ის შეირთო, მაგრამ ცოლს არ უყვარდა იგი განუგნილობისათვის. ეს სიძულვილი თამარს უფრო გაუცხოველდა, როცა ალექსანდრემ ქართლის რბევა დაიწყო და აქაურნი ხალხის ტყვედ ეიღვა. «ამისათვის სძულლობდა ცოლი თავისი თამარ და მიზეზს უღვა განტყუებად.» დაუწყო იმან მამას

1) იხ. იქვე გვ. 214 და 215.

ხვეწნა: განმარტე ქმარს და მიმართვე ქართლის მეფეს გიორგისათ. რადგან იმერეთის წარჩინებულ მებატონეთაც სძულდათ ალექსანდრე, ამისათვის აბაშიძე თანახმა გახდა ასულის თხოვნაზე. შეიკრიბნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსნი, ერისთავი პაპუნა და სრულიად იმერეთის წარჩინებულნი, შეიპყრეს ის და მისცეს გიორგი მეფეს დასასჯელად. იმანაც მიიყვანა რუისს, დაახრჩო და დათლა მუნვე ეკლესიაში <sup>1)</sup> 1695 წელს.

გასაკვირია, რომ ამ დროს, როცა იმერეთის ხალხში ასე დაცემულია ქრისტიანობრივი სხე, ქართლში მტკიცედ ადგანან ცოლ-ქმრობის კავშირს. იმერეთში ადვილია ეკლესიურის კანონის დარღვევა, ქართლში კი შეუძლებელია. მაგალითად ხსენებულნი თამარ სთხოვს გიორგი მეფეს შეძირთე ცოლად და დაიჭირე იმერეთი, მაგრამ ის უარს ეუბნება. ამის შემდეგ სთხოვს ახლა არჩილს ცოლად შეერთვას და სამუდამოდ იმერეთის ტახტის დაპყრობას, მაგრამ ისიც უარს ეუბნება.

დაუცხრომელმა თამარმა მამინ შეირთო ერთი ვიღაცა მეფეთა მონათესავე გიორგი, რომელიც იმყოფებოდა რდიშს და გლეხურად სცხოვრებდა. ამ კაცს არ ჰქონდა არც შესამხნევი ჭკუა-გონება, არც დარზაისლური ყოფა-ქცევა, არც მეფის შესაფერი სხე და გამოცდილება. მან ბრალდა მხოლოდ გლეხთა მუშაკობა და იყო სეიბარცა. ამისათვის არ უყვარდა ის თამარს, რისა გამო ერთის წლის შემდეგ გაატლო სასლიდგან. მამინ იმერეთის ტახტს თვითონაც ჩამოეცა და გააძეოთ თავისი გერბი სვიმონ, რომელიც შირველ ქმარს ალექსანდრეს ხასისაგან ჰყვანდა და ცოლად შეერთო თავისი დანიცა, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალს ქმარს, ნასუიდა იაშვილს წაართო.

<sup>1)</sup> იხ. ქარა- ცხოვ. გვ. 215.

მაგრამ იმერეთის დიდ-კაცობა მანც თამარს ემორჩილებოდა, მას ემსახურებდნენ და იუვენ მის წინაშე განუშორებლად. სვიმონს მხოლოდ ახდრილი ძეგობისა ჰქონდა, მაგრამ თამარს ესეც შეჰშურდა შვილისა და დისათვის და აუტეხსა ბრძოლა.

შეშინებული სვიმონ გაიქცა ქართლს. დარჩა ბურთი და მოედანი მოქმედების ისევე თამარს. რომ უფრო სიძლიერე, გავლენა და სახელი ჰქონოდა ხალხში, მან განიზრახა ღიზარით ჩიქვანის ქმრად შერთვა. ისიც მის სურვილზე თანახმა გახდა: გააკდო თავისი კანონიერი ცოლი, რომლისაგანაც შვიდი შვილი ჰყვანდა და დაიწყო ქორწილისათვის მზადება. შეუთვალა თამარსაც მზად იყავი.

მაგრამ უგანასგელმა კვლარ მითმინა და თვითონ გაემგზავრა. მივიდა ოდიშს და ჩამოჰსდა გიორგი მიქელაძის სასლში, რომელიც თამარის ბიძა იყო. მიქელაძემ უთხრა დის-წულს: «რად მიხვალ ოდიშს? ჩემი დის-წული ხარ, მოიცადე ჩემთან და დაიბარე თვითონ ღიზარითი აქ, დაიწერეთ აქვე ვერაღ ბე გარდავიხდო ქორწილი თქვენი საკადრისი.» დაუკურა იმანაც სიტყვა თავის ბიძას. დაიბარეს ღიზარითი. მოვიდა ის მიქელაძესთან ცოტაოჯენის კაცითა, მაგრამ მიქელაძემ არ აღასრულა თამარის წადილი: მოვიდა თუ არა ჩიქვანსი, მაშინვე დაიჭინა იგი და უთხრა მშინსახუბით: შენ უბრალო აზნაური ჩიქვანის რა ისეთი დიდი ეაცი გამხდარხარო, რომ დღეს ჩემს დას (?) განუტევა და სხვას ირთამო? ესლავე თავს გავადებინებ, თუ თამარს მიზონს არა სცხებოა! შეშინდა ღიზარითი და აღასრულა მისი ბრძანება.

მიქელაძეს ეგონა თამარ შატავის სცემს მიზონს და კვლარ გაბედეს ნათესავობის დარღვევას ევლესიის კანონის წი-

ნაადმდეგა; ამის შემდეგ თვით ლიბერტიც ლარ შეირთავს მას ცოლათა; მაგრამ მოსტყუვდა: თამარ არ დასცხრა. ის უფრო გაკანასდა და გაანხლდა. ახირა თავისი სიტყვა და ლარ გადასთქვა. რაც ერთსულ დაისვია ენასე, მერმე უარი აღარა სთქვა. შეუხნდა ლიბერტს, დაატოკებინა კანონიერი ცოლი და შეირთო ქმრად. «მიერიდგან უსმობდნენ თამარს ოდიშის და იმერეთის დედოფლად.» დაიწყო მან მეფობა იმერეთშიაც და სამეგრელოშიაც. მაგრამ ვაი იმ მეფობას! ცუცხლს აწვიმებდა ყველასე, ვინც მისი წინააღმდეგი იყო. უკვლანი შეშინდნენ მისგან. სვიმონ მეფემ, მისმა გერმამ, არ იცოდა მის შიშით საით გადავარდნილიყო. ის თუმცა იმერეთის მეფედ ისახელებოდა, მაგრამ თამარის შიშით ვერაფერს აკეთებდა სამეფოში. თავის უფლების გასაძლიერებლად და მომხრეების საშოვნელად იმან შეირთო გურიელის ქალი და თამარის და ასუკა განუტყვა. ეს იწყინა გაათრებულმა დედოფლმა დაი მოაკვლევინა სვიმონ მეფე, როცა ის ცოლთან მწოლარე ადგა და გამოვიდა გარეთ «ბუნებრივსა სამჭინროსა ადგილსა.» დარჩა ასლა მას ხელში ბურთი და მოედანი მოქმედებისა. თამარ შავარდენივით დასტრიალებდა იმერეთს თავსა თავდა-აზნაურობამ მართალია გურიელი გაამეფა სვიმონის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ვაი იმ ყოფას; რა ყოფაშიაც გურიელი იყო. თამარის ხელში იყვნენ «სამეფო დაბანი და შემოსაკაღნი, და მის მოახლედ იყვნენ წარჩინებულთა ცოლნი, ძენი და ასუკანი.» გურიელს მხოლოდ სახელი მეფობისა ქჭონდა: სახრავი კი თამარის ხელში იყო. რომ კვლარა გააწყო-რას მის წინააღმდეგ, გურიელმა დასტოვა იმერეთი და გაიქცა გურიის შიკე.

ამის შემდეგ ცოფიანმა თამარმა ახლა თავის ბიძის გი-

ორგი მიქელაძისთვის მოიცადა. იმას არ ავიწყებოდა ის სიტყვილი, რომელიც გიორგიმ მიაყენა, როცა მივიდა მასთან სასლში ჩიქვანის ქმნად შესართავად. ჩამოემტყნა მას ამ მიწეებით და იმდენი იძუცადინა, რომ გააგლო თავის სამფლობელოდგან ქართლში და მისი მიწა-წყალი ჩიქვანებს უძღვნა. მაგრამ ამ საქმემ თავათ იმასაც კეთილი არ დააყარა. ამის შემდეგ იმასა და იმის მამას გიორგი ახაშიქეს დაუწუეს ყოველგნით მტრობა, გაუარმეს და ჩაუწარეს სიცოცხლე. 1782 წელს მოკვდა თამარ სენიას ბოროტითა.»

ჩვენ უკვე ვსთქვით ზემოთ, რომ ლიპარიც ჩიქვანს ჭყვანდა «შვიდი შვილი მოწიფული», როცა მან ცოლი განუტევა და შეირთო მოუსვენარი და დაუდგრომელი თამარ. ამ შემთხვევამ მამასა და შვილებს შორის დაჭბადა უსიამოვნობა. შვილები აღარ დადგნენ მამასთან, გარდაისკეწნენ აქეთ-იქით და დაუწუეს მამას მტრობა, მაგრამ კიდრე მათი დედი ნაცვალი თამარ ცოცხალი იყო, შვილების მტრობას არა ჭჭონდა ლიპარიტისთვის ცუდი შედეგი. ის რომ მოკვდა, მამინ კი უფრო გამხნეოდნენ მისი შვილები, განდევნეს მამა სამფლობელოდგან და თვითონ დაიჭირეს ოღიში.

შვილებზე გავაზრებულმა ლიპარიტმა თამარის სიკვდილის შემდეგ შეირთო მესამე ცოლი, ასული გურიელისა. აგრეთვე სასულად თამარ, და გაძლიერდა ისევ ცოლის მეობებით. ეს თამარ ღირსეული მოსასულე იყო პირველისა. ვითარცა პირველის მოადგილე, მეცადინეობდა ჭჭონდა იმერეთში ისეთივე გაყენა და სასული, როგორც პირველს. პირველსაკით მხნედ მოქმედებდა ქმრის სასარგებლოდ. მისის შემწეობით ლიპარიტი ძლიერდებოდა და ემუქრებოდა შვილებს.

ამ გარემოებამ შვილები შეაშინა და აფიქრებინა რომე-

ლიმე სრავით მამის დატყრა. ორმა შვილმა — კაციაშ და ბუყანაშ იხმარეს მამის წინააღმდეგ მზაკვარება. «იხმარ ბუყან მზაკვარება და ჭყო ქათალიგოზი გრიგოლ შუამდგომელ მამისა თვისისათანა და აღუთქვა ფიცით; რათა ზაგ-ჭყოს, იხილოს მამა თვისი და დამოწმილდეს მას.» ლიპარიტი დაენდო ქათალიგოზის სიტყვას და ესტუმრა შვილს «მცირედითა მონითა.» ბუყანი გულ-მხიარულად დაუხვდა მამას, გაუწია კარგი მასპინძლობა იმ დღეს, შეიჯერა მამის გული, მაგრამ იმ დამეს „შეიპურა ყოველი მონანი მისნი, მერძე «მოჭმარა მამას იარაღი», და დილა რომ გათენდა, «შეიპურა იგიცა და ჰატიმარ ჭყო ცისეში; მერძე მოიყვანა დედა თვისი განტყვებული და მოუდგინა გვერდით ქმარსავე, და იყვნენ ერთად ცოლ-ქმარნი დამწყვდეთულნი სიკვდილამდე.»

ამ სახით ლიპარიტი სამოყვალა ისტორიულ ასპარეზს; მაგრამ ნაცვლად იმისა დაიწყო მოქმედება მისმა ცოლმა თამარმა. ბუყანმა მამა რომ დამწყვდია ცისეში, მამინ ეს დედის ნაცვალად ასალ-ცისეს წავიდა. ამ დროს აქ იყო იმერეთის ტახტის შემკვიდრე გიორგი. ამას ცოლად ჭყვანდა ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ნათესავი; მაგრამ განუტევა განონიერი ცოლი და შეირთო ჩიქვანის ნაცვლარი თამარ. 1720 წელს ეს გიორგიც მოკვდა და დარჩა ერთი შვილი სასულად აღაქსანდრე. რომელიც იზრდებოდა ქართლში.

თამარ დარჩა ხელა უპატრონოდ. მისი სული და გული შფოთავდა და ბრძოდებოდა იმათსე, ვინც მას ქმრები დაუხრცა. ყველასე მომეტებულად ის იყო გაბოროტებული ბუყანსე, რომელიც პირველად იწოდა დადიანად, ნაცვლად ჩიქვანისა. მას ყველასთვის ამ დროს მხოლოდ ავი და ბორცოტი ეწადა. იმდენს ეცადა, რომ გადაიბირა თავისკენ გაბრიელ ჭყონ-

დიდელი. ორივენი ერთად მიუიღწევენ აწმრთების ქალაქში, მისცეს ფაშას ქრთამი და ინიკლეს ბეყან დადიანზე. საჩივარი იმაში მდგომარეობდა, რომ ბეყანმა ასალ-ცინის ფაშას ისაყს დიდი ქრთამები მისცა, იმანაც მოიყვანა ქართლიდამ აღექსანდრე და გააძეფა იმერეთში; მაგრამ მეფეს არავითარი განკარგულების მოსდენა არ შეუძლიან სამეფოში. ის ტყვესავით ჭყავს დადიანს, და ყველა ამ საქმეებში დამნაშავე არის ისაყ-ფაშა, რომელმაც დადიანისაგან დიდი ქრთამები მიიღოვო. ამისთვის ისაყ-ფაშა დაიბარეს აწმრთებში და დიდი ბოროტება, უსიამოვნება და უპატიურება შეამთხვიეს მას თამარის სიტყვით.

ეს ამბავი შეიტყო ბეყან დადიანმა და მიჭსვდა, რომ ეს რინები თამარმა მის საუბედუროდ ღ წასახდენად ჩადინა. იმან მოილაპარაკა აღექსანდრე მეფესთან... ცაუგზავნეს ამთაგ თავანთ მხრით აწმრთების ფაშას დიდი ქრთამები ღ სთხოვეს ისაყ-ფაშის გამართლება. ჯილდომ ჯოჯოხეთი განათა და ისაყი გამართლეს.

ამის გამო როლებიც შეიცვალა: დაიჭირეს ტყუილად ჩივილისთვის თამარ და ჭყონდიდელი, რომელნიც ამას წინად დღესასწაულობდნენ თავიანთ გამარჯვებას. ისაყ-ფაშა გამოიყვანეს საპურბოლიდგან, მისცეს სულთ თამარ და ჭყონდიდელი და გამოგზავნეს იმერეთში. მან მოიყვანა ისინი გათოვიდნი და გადასცა ბეყან დადიანს, რომელმაც თამარ დაამწყვდია ღესვირის ცისეში, მეორეს კი ჩამოართო ჭყონდიდლობა და განუტევა, რადგან სასულიერო პირი იყო. ამით მან პატივი-სცა ექლესიას.

როგორც ეტყობა მემატიანის ლაპარაკს, დიდ ხანს არ უოვილა ტუსაღად თამარცა. ის განუთავისუფლებიათ, მაგრამ

მანც კიდევ არ მოუხკენია. იმას კწადა ტასტიდგან ალექსანდრეს გადაყენება და თავის მცირე-წლოვანის შვილის გამეუება. ამ საქმეში ჭშეკლოდნენ ბეყან დადიანი, რაჭის ერისთავი და ზურამ აბაშიძე. ესენი იმისათვის მიემხრნენ თამარს, რომ ალექსანდრე ასლა ისე გაძლიერდა, რომ აღარავისი ეშინოდა ჭეველას უბღვეროდა. ამით ვეველამ განუცხადეს მეფეს თავისი მტრობა. მამინ «ალექსანდრემ მოიყვანა დედის-ნაცვალე თამარ, აბრალა მას ყოველი ყოფილნი, შეიპყრა და მოჭკვეთა თავი!»<sup>1)</sup>

ამით დასრულდა თამარის უღვთო ცხოვრება. დაიწყო ახალი მოქმედება სხვა ქალებმა. ისინი ბუყებსავით ირყვიან, ყოველ საქმეში მონაწილეობას იღებენ და თავისებურად ტრიალებენ. მეფეები, დადიანები, რაჭის ერისთავები—ვეველანი იმართის შემწეობით მოქმედებენ და იკლებენ ერთმანერთს. ერთი სიტყვით ქალები ისე ძლიერნი არიან თავიანთ გავლენით ხალხში, რომ მათ შეუძლიანთ, მთავარი გადააყენონ ტასტიდგან და მის ნაცვლად სხვა გამთავრონ. მაგალითად 1717 წელს დედა ელენე გაუწერა რადაცაზე შვილს გიორგი გურიელს, „მოიყვანა მონაწილი ყოფილი მე თავისი, გაკრიჭა, უწოდა ქაიხოსრო და დასვა გურიელად.“<sup>2)</sup>

ეს საქმეები ელენემ შეასრულა ბეყან დადიანისა, გურიის ერისთავისა, ნაკაშიძისა და ზურამ აბაშიძის შემწეობით, რომელნიც მან ქრთამით მიიმხრო. მაგრამ ამ საქმეს თან დიდი განხეთქილება მოჭკვეა. ასტედა უსამოვნება, ურთი-ერთ შორის სამდურავი და მტრობა. უღიტეს ერთმანერთი ელენეს მოძახრებმა და გიორგის თარაობა. გამარჯვებისათვის ისინი ნა-

<sup>1)</sup> იხ. ქართ. ცხოვ. 229—236.

<sup>2)</sup> იხ. იქვე გვ. 227.

თესვებს ცოლებს არომეიდნენ და სხვაზე ათხოვებდნენ. მაკალითად ბუკან დადიანმა წაართვა კანონიერი ცოლი ბაკა ჩიჭვანსა და შერთო სურნაბ აბაშიძის შეილს დავითს. ამავე დადიანს სთხოვა გიორგი გურიელმა, წაართვი შენი ასული ნაკა-შიძეს, რომელიც ჩემი მტერი არისო, და მე მომეცი ცოლადო. ის თანახმა გახდა. მაშინ გურიელმა ვაგდო თაგისი კანონიერი ცოლი, შატვაშიძის ქალი, და შეერთო ნაკაშიძის ცოლი. ამ მოუვრობამ გურიელი და დადიანი შეარიგა. შერიგების ქალადი დაიწერა ქალის მკერდით. ამის თანა საქმეები ამ დროს არა ერთი და ორი მოჭნდა. ვისაც უნდოდა ვისმესთან შერიგება, პირობის ქალადის დაწერა არ იყო საჭირო. პირობის და შერიგების ქალადის ნაცვლად შუაში შემოდირდა ქალი; რომელიც ამოუვრობდა უცდამტერებულ პირთ. ქალი ხდებოდა სიდათ, რომელსედაც ერთობა, მეგობრობა და სიუვარული დაიარებოდა.

როცა საჭიროება მოთხოვდა, ამ დროს, ქალები ხმალსაც იღებდნენ ხელში. ასე მოიქცა ჰაზუნა წერეთლის ცოლი. იმან დიდი მსხეობა და ვაჟ-კაცობა გამოიჩინა. 1735 წელს ალექსანდრე მეფემ ღალატობით მოჭკლა მისი ქმარი ჰაზუნა და განიზრასა მოდი-მნასეს ციხის დაჭერაც; მაგრამ ჰაზუნას ცოლმა არ დაანება მეფეს. იგი შევიდა ციხეში, გაამაგრა და დაუწყო გამძაგებულად ასეთი სასტიკი ბრძოლა, რომ მეფე იძულებული შეიქმნა ხელი აეღო თავის განზრასვაზე.

ამავე დროს დიდი ვაჟ-კაცობა, ერთგულება და გულ-შემატვიკრობა სამშობლო ქვეყნისადმი გამოიჩინა მაჭავარიანის ქალმა. რადგან ძალიან შეწუხდა და აოხრდა იმერეთი სურნაბ აბაშიძისაგან, ამ (?) ქალმა განიზრასა ქვეყნის ამკვეთ დასვა. ერთ ღამეს იგი თავს დაესხა სურნაბს და ნაზღად დაიჭირა ცი-

ხე სეკრი, წართუა საზინა, რომლის ძალითაც იგი მოქმედებდა და გააგდო შვილიანად ქართლში. მეტე მიიწვია მან მეფე ალექსანდრე და გადასცა მას ციხე და სამთაფლო. ეს ამბავი მოხდა 1744 წელს<sup>1)</sup>.

ამ ქალის (?) მოქმედების აღწერით ქართლის ცხოვრება უნებლიედ მოადგამს გვირგვინს იმ გვარ ქალების ღვაწლს, რომელთაც სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობა ეწადათ. ბორც-მოქმედება თუ სრულიად არ მარცხდება მაჭავარიანის ქალის მეტადინეობით, ჯერ-ჯერობით გამარჯვება მანც კეთილ-განზრახვას რჩება. ერთობისა და ქვეყნის კეთილ-დღეობის სურვილი იმარჯვებს ქალის ბუნებაში. ბორცტება განიდევნება ქალის სიქველისაგან და მეძატიანეც კარგად ჩადის, რომ ამით ასრულებს იმერეთის ცხოვრებისა და ხანგრძლივის ბრძოლის აღწერას.

სოლო რით და ან როგორ გათავდა ქალების მოქმედება ქართლ-კასეთში, — ამას ვიდევ ამ სურათების გაგრძელება შეგვატეობინებს.

მლ. დიპ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

<sup>1)</sup> იხ. ქარლ. ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 236.

## ცინე უიზნილა ვატეხილი.

(შემდეგ \*).

თავი მეშვიდე

მოჩვენება.

ამალიამ წინ-და-წინვე მოასდინა განკარგულება, რომ სახლადამ გარეთ სინათლე არ გამოსულიყო. იმ კარებისა და ფანჯრების გარდა, რომელნიც წყლისკენ იუფრებოდენ, დანარჩენი ყველა ჩაკეტეს.

ჩაღაში ლუიზა მიეგება თავის ქალ-ბატონს, მერე ჰედროც გამოჩნდა, რომელსაც უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ თავის პოლიგონიკის ქალი უკნებლად დაბრუნდა.

— დანიელ არ მოსულა?

— ჯერ არა, ქალ-ბატონო, ედუარდოს შემდეგ არავინ არ მოსულა.

ამ დროს ჰედრომ გაიხედა თავის ბნელის ოთახის ფანჯრადამ გზისაკენ და სთქვა:

— მოდიან, ქალ-ბატონო, დანიელ და იუკრმინი.

— დიდება დიქონს... ცხენებს უფრო უბედ.

\*) «ივერია» № 10, 1882 წ.

— დანიელ ჩვენი მფარველი ანგელოზია, ედუარდო.

— დანიელისთან კაცი მეორე აღარ არის ქვეყანაზე! სთქვა უმაწვილმა კაცმა ამჰარტავნებით.

დანიელ შეძრვიდა თავის ამაღიას წაღაში მხიარული, როგორც ყოველთვის. ტანზე მოკლე მანტია ეცვა, რომელიც მარტო მუსლებამდის სწვდებოდა.

— ოჰო! უძანკო მტრელებს ჯერ სადილი არ უჭამიათ!... სთქვა დანიელმა კარებშივე და დაუკრა თავი ამაღიას, ედუარდოს და გაშლილ სუფრას, რომელიც სამისთვის იყო მომზადებული.

— შენ გელოდით, უთხრა ღიმილით უმაწვილმა ქალმა.

— მე?! ..

— კბონებ შენ გელაპყარებინა, ბატონო დონ დანიელ! უთხრა ედუარდომ.

— დიდად გმადლობთ, თქვენისთანა მოსიყვარულე გულისხალსი ჯერ არ მინახავს. ვინ იცის რა რიგად გწეინდათ ჩემი ღოდინი. მაინც მოწყენილება იქნებოდით!...

— დიად, ცოტათი, მიუგო ედუარდომ.

— მე ვი არ ვიცი! თქვენ ყოველთვის მოწყენილნი ხართ, როცა მარტო რჩებით.— ჰედრო!

— რა გნებაკ?

— ჰური გვაჭამე, ჰედრო, უბძანა დანიელმა, მოიხადა მანტია, მოუჯდა სტოლს და დაისხა ლვინო.

— ეგ უზღველობა მოგდით, ბატონო მასპინძელზედ აღარე თქვენა ჯდებით სუფრაზედ.

— ეჰ, ბატონო ბელგრანო, რა გუეოთ, მეც უზღველი ფედერალი ვარ. როგორც წმინდა ფედერაცია დაუკითხავად ჩამოგვესახლა, ისე მეც დაუკითხავად გვადები სუფრაზედ.

ამაღია და ედუარდოც დასდნენ სუფრასზედ ღამის მეცხრე საათზედ.

— ეს ჩვენი სადღეგრძელო იყო; სთქვეს ამაღიამ და ედუარდომ და მიასაღეს დანიელის სტაქანს სტაქნები.

— შენ ტუჩები არც კი დაისკველე, ამაღია, და მე და ედუარდომ კი სტაქნები დაგვალეთ. კარგადაცა ვქენით, ამისთვის რომ ღვინო ვაცს ამაგრებს, ჩვენ ამაღამ კარგა მანძილი უნდა გავიაროთ.

— ფიქრი არ არის, თუ აქამდის არა დაგვშავებია-რა, არც ეხლა დაგვიშავდება, სთქვა ედუარდომ.

— არა, ჩემო მეგობარო, არა. როსასის მონები თითო-თითოდ არ დადიან, ექვს-ექვსმა ვაცმა ერთად იცის ხოლმე სიარული...

— მეჩე, ჩვენ რომ სამის შემეტი წრა ვართ...

— მართალია სამნი ვართ, ჩემო ამაღია, მაგრამ იმათი ოცი ვაცი არ ვიყუოვ, თუ საქმე გაჭირდა.

— მაინცა და მაინც იმათთან ჩსუბს მკერიდეთ, პირიბას მაძლეეთ თუ არა?

— მე ჩემის მხრით გამდეკ, თუ ედუარდო ძალათი არ გადივიდებს მათთან ჩსუბს. მიკვირს რატომ არ ეხარება ამას ფრადის ტარება, სთქვა დანიელმა.

— მე საიდუმლო იარაღს არ ვატარებ, მიუგო ედუარდომ.

— რაც გინდა სთქვი და ის კი სჯობიან შენს იარაღს.

— მართლა, დანიელ, აბა ერთი მაჩვენე შენი იარაღი, რომელსაც ასე აქება...

დანიელმა ამოიღო ჯიბიდან და აჩვენა ამაღიას ის იარაღი, რომლითაც ედუარდო სიკვდილს გადაარჩინა. ამ იარაღს ფრანცუზულად თავის სახესი ერქვა.

— ესლა კი დროა წასვლისა, თერთმეტის ნახევარია, სთქვამს დანიელმა.

ვეკლანი წამოდგნენ.

— ამაღია, აბა ერთი ჩვენი ტანისამოსი და იარაღი გამოგვიტანე.

ამაღია გავიდა სხვა ოთახში. ეს ოთახი მთვარის შუქით იყო განათებული.

როდესაც დანიელ და ედუარდო ჩაღმკვდაც ლაშარაკობდნენ, უეტრად ამაღიას ვივილისა და ფეხის ხმა მოისმა.

უმწველი კაცები გაეჭანნენ იმ ოთახისკენ, მაგრამ ამაღია შესვდათ წინა და შეაჩერა.

— რა არის? რა მოხდა? ჰკითხეს ორივე მეგობრებმა.

— არაფერი... მაგრამ ნუ წახვალთ. ამაღამ ნუ წახვალთ, მიუგო შიშისგან გაუფითლებულმა ამაღიამ.

— თუ ღმერთი გწამს, გვითხარი, რა იყო? ჰკითხა დანიელმა. ედუარდო კი ცდილობდა ბნელს ოთახში შესვლას, მაგრამ ამაღია არ უშვებდა.

— ესლავე გატყუით, ესლავე, ოღონდ კი იქ ნუ შესვალთ.

— განა იქ არის ვინმე?

— არა, არავინ არის.

— მაშ რას ნიშნავს შენი უვიცილი, ამაღია, და რათა ხარ ასე შეშინებული?

— მე დავინახე კაცი, რომელიც ლუიზას ოთახის ფანჯარაში იუჯრებოდა. მე ჯერ შედრო მეგონა, მაგრამ როცა ფანჯარას მოშორდა და მთვარის შუქი მიაღწა—ვიცანი, ვინც იყო.

— ვინ იყო, ამაღია? ჰკითხეს ორივემ.

— მარინო.

— მარინო! დაიუვირა დანიელმა.

— დიად, ის იყო. გული ჯელარ შევიდაგრე და დაკვივირე.

— ეოველმავე ჩვენმა ცდამ და შრომამ ამაოდ ჩაიარა. სთქვა ედუარდომ.

— ის უეტველად მე მადვენებდა თვალ-ყურს, როდესაც აჩანასგან გამოვედი, წარმოსთქვა ჩაფიქრებით დანიელმა.

მერე ემაწვილმა კაცმა მიიხედა კარებისკენ და პედროს დაუძახა, რომელმაც ის იყო სუფრას ალაგა და გავიდა.

— პედრო, ფერმინი სად იყო მასინ, როდესაც ჩვენ პურსა კსტამდით.

— ფერმინს სამზარეულოდამ იქნის არ მოუცვლია.

— ან იმას, ან შენ არაფერი დაგინახავთ ან გზაზედ, ან სახლის ასლოს.

— არაფერი, ბატონო.

— ვილაც კაცი ლუიზას ოთახის ფანჯარასთან დიდ ხანს მდგარა და ყურს გვიგდებდა თურმე.—საღდათი შეიფიქრებდა.

— მას შენ არაფერი გაგიგია, პედრო. ამას იქით გაიფიქრებდი. ფერმინს დამიძახე აქა და შენ კიდევ ის ცხენი შეემარე, რომელითაც ფერმინი მოვიდა.

პედრო გავიდა ჩუმად და იმავე წამს დანიელის მოსამსახურე შემოვიდა.

— ფერმინ, მე მიინდა შევიტყო, ამ ხეების ქვეშ სომ კაცები არ არიან, და თუ იქ არ არიან, მასინ მიინდა ვიცოდეთ საით წავიდნენ და რამდენნი არიან. თუ რომ აქედამ წასულან, ჩვენ შეგვიძლიან ხუთს წამში დავეწითოთ მათ.

ფერმინი წავიდა. იმავე წამს დანიელ, ამალია და ედუარდო შევიდნენ ლუიზას ოთახში და იქედამ გასცქეროდნენ გზას, რომელზედაც ფერმინი მიაქროლებდა ცხენსა. სამთვემ კარგა ხანს ილაპარაკეს ლუიზას ოთახში და შემდეგ წაღაშვიკე

დაბრუნდენ. ათს წამს არ გაუკლია, რომ ფერმინმაც შეაღო  
ზაღის კარები და შევიდა.

— დიაღ, იქ მიდიან, ბატონო, სთქვა ფერმინმა.

— რამდენნი არიან?

— სამნი.

— რომელს გზავედ?

— ზემოთსედ.

— ცხენებიც დაინახე?

— დიაღ, ბატონო.

— იმ ცხენებში ერთ-ერთს მაინც არ იცნობ?

— ვიცნობ, ბატონო.

— რომელს?

— შავ ცხენს, რომელსედაც მარინო ზის.

ამაღამ განცვიფრებით შესედა ედუარდოს და და-  
ნიელს.

— კარგი, ცხენები წელის ნაპირზე ჩაიყვანე.

— განა მიდიხართ? ჭკითხა ამაღამ.

— ამ წუთაშივე, მიუგო დანიელმა.

— ამაღის მ.ტო სომ კერ დაკავდებით, დანიელ.

— ფერმინი დარჩება აქ; ისა და ზედრო უგდებენ უურსა,  
მე ამაღამ მოდარაკვე გუერაღს თან უნდა ვლიო, შენ კი ჩე-  
მის სახლის ბანზედ გაატარებ დამეს.

— დმერთო ჩემო, მაგას რაებს ამბობთ! შეჭკივლა ამაღამ  
და წაივლო თავში ხელი.

— დიაღ, ჩემო ცქრიალაკ, კიდევ ახალი განსაცდელი მოგ-  
ველის; ამ სახლში ჩვენ კელარ დაკარებით, სხვა სახლი უნდა  
მოენახლო.

— წავიდეთ, დანიელ, წავიდეთ, სთქვა ედუარდომ ისეთის

სისწრაფით, რომ ამაღლია თითქოს მიხვდა იმის აზრს, დაუჭირა ხელები და უთხრა:

— ჩემის გულისათვის, ედუარდო, ჩემის გულსათვის..

ამაღლია ისეთის კედლებით წარმოსთქვა ეს სიტყვები და ისეთის გრძობით, რომ ედუარდომ პირველად მოაჩინა მას თვალი, რომ იმის სიბრძნე არ შეეცოლა ამაღლიას.

— ნუ გეშინიან, ჩემო ამაღლია, ყველაფერი მე მომანდო, უფხრან დანიელმა და აგოცა თავზედ, როგორც ჩვეულება ქტონდა ყოველთვის, როდესაც კი შორდებოდა ამ მშვენიერს, დიდ სულოვანს, მაგრამ უბედურს ქმნილებას.

სამნივ ერთმანერთს ჩუმად გაშორდნენ, ყველა თავ-თავისთვის ქტოქტობდა. ამაღლიას მათი წასვლა ძლიერ ეძებებოდა. ედუარდოს ის აწუხებდა, რომ რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენი უფრო შორდებოდა მათ; დანიელ კიდეც იმაზედ სწუხებდა, რომ არ შეეძლო რაღაც გაუთვლიყო: აქცარიელს სახლში ამაღლია დაეუარა და ქალქში კიდეც ედუარდო.

უმაწვილი კაცები შესხდნენ ცხენებზედ, ფერმინს კი უბმანეს დარჩენილიყო ამაღლიასთან დილის ექვს საათამდის.

გააჭენეს ცხენები, ამაღლია კი მათ თვალს ადევნებდა. როდესაც იგინი მიუფარნენ, ამაღლიამ სეცისადმი აღაპერო დიდ-რინი შავი თვალები.

### თავი მეტვე.

მასზედ, თუ რამ გააოცა მარინო.

— ტყუილი შრომაა ედუარდო: ტყუილად ცხენებს დავაღაჯეთ და შენს გულის წადილს მაინც ვერ აასრულებ.

- ვითომ ოცო, რატო მინდა?
- ვიცი.
- აბა რა?... ..
- მარინოს მოწვევას,
- გამოიტან.
- ეგ არ შეიძლება.
- ვითომ?!
- რასაკვირველია, არ შეიძლება, მისთვისაც წინააღმდეგობა არ გიხდება.
- აი ნახავ, მოგეწევი თუ არა.
- ის ოცის წამით ადრე წავიდა წინა.
- ბუერო არაბუერი.
- საკმაოა.
- ჩვენ აბურ ათი წამით მოკვდივართ.
- რა იქნება თუ გინდ კიდევ მოგეწეოთ.
- მაშინ მე იმას ვაჩვენებ..
- რა გორ?
- დაგუწეებ ჩხუბსა და ამბობაში სანჯღლით გამოკუთამება.
- საუცხლო არაია!...
- თუ საუცხლო არა, კარგად გამოჩვენებ მანტ არის.
- ვკონებ დაგავიწყდა, რომ ისინი ოთხნი არიან.
- თუ გინდ ხუთნი იყვნენ; მე კი ვიცი, რომ სამის მეტ-  
ნი არ არიან: ისა და ორიც სალდათი.
- არა, ოთხია: მარინო, ორი სალდათი და მე.
- შენა? ჩემს წინააღმდეგ?... ..
- დიაღ, შენს წინააღმდეგ.
- გმადლობთ;
- ასე დაზარალებდნენ უმწვილი კატები და თან ცხენებს მი-

აქროლებდენ. დანიელს არ უნდოდა, რომ დასწოლდენ მარინოს, რადგანაც იცოდა, რომ ედუარდო უსათუოდ აუტყესავდა რასმეს მარინოს. ამ დროს გზასკად, გამოჩნდა ორი ცხენოსანი მგზავრი და დანიელმაც ეს ამბავი გამოიყენა.

— აკერ, შესედე, ედუარდო... აკერ სამი კაცი მიდის მარჯვნივ... ორმოც-დაათ საუენზედ... ჭხედავ?

— ვხედავ, მაგრამ ისინი ორნი სჩანან.

— არა, მე სამნი დავინახე; მესამე არა სჩანს, რადგანაც სხვა ცხენოსნებს აფარია.

ედუარდო მაშინვე იძუტევენ გაეჭანა, დანიელიც თან გაჭედა. ამით დანიელმა დააკარგვინა დრო, რომ მარინოს დასწოლდა.

მგზავრებმა რომ დაინახეს ეს ორი უმაწვილი კაცი, მაშინვე შედგნენ. ედუარდომ დაინახა, რომ ისინი არ იყვნენ, რომელთა მოწვევასაც ცდილობდა. გაიგო ისიც რომ ეს სულ დანიელის ეშმაკობა იყო.

ედუარდომ მსწრაფლად გამოაბრუნა ცხენი და წავიდა პირდაპირ გზასკად, საითკენაც მარინო წასულიყო. დანიელიც აღარ ეწინააღმდეგებოდა ედუარდოს, რადგანაც იცოდა, რომ ეს იმათ ველარ დაეწოლდა.

მეგობრები მიაჭენებდენ ცხენებს, მაგრამ ამ დროს უცრად მოსმა გუშავის ხმა: «ვინ მოდის!» ისინი მისულიყვნენ იქ, სადაც როზასის ჯარი იყო დაბანაკებული.

— დიდება ღმერთს, მოკვდით! მიუგო დანიელმა და შეაყენა თავისი ცხენი, ედუარდოს ცხენსაც მოსწია აღვირი და გააჩერა.

— ვინა ხართ? განაგრძო გუშავმა.

— პატროსანი ფედერალები, მიუგო დანიელმა.

— მაშ გაიარეთ.

ედუარდოს ის იყო ცხენი უნდა გაეჭენებინა, რომ კი-  
ღამაც მალაღის ხმით დაუყვირა:

— დადექით!...

უმაწვილი კაცები შედგნენ.

სამი საღდათი გადუდგა ჩვენს მგზავრებს წინა და დაუწ-  
ყეს დათვალიერება. ამ დროს მათ სხვებიც მოემატნენ.

— რად შეაყენე ჩვენი ცხენები, გენერალო, წარმოსთქვა და-  
ნიელმა აუჩქარებლად და დამშვიდებულის ხმით; ესლა დანიელ-  
მა იცნო გენერალი მინსილი, რომელიც დაჩაჯდა იყო აქა.

— თქვენ... თქვენა ხართ აქა, ბულო? გაუკვირდა გენერალს.

— დიად, ბატონო, მე გახლავართ, ცხენი სირბილით მო-  
კალი და ვერ კი დაგეწიეთ, თქვენი ნახვა კი ძლიერ მინდო-  
და. რაც უნდა იყოს, თქვენი ცხენი უნდა მაჩუქოთ, რადგანაც  
თქვენს დეგნაშს ჩემი ცხენი თითქმის დამივარდა.

— თქვენ ავი თერთმეტ საათზედ შინ წასვლა გინდოდათ,  
მეც აქეთ მეთორმეტე საათის თხუთმეტ წამზედ გამოკედი ქა-  
ლაქი დამ.

— მაშ მე ვერთილვარ დამნაშავე.

— რასაკვირველია.

— მაშ ცხენს აღარ გთხოვთ.

— დიდაც!...

— ახალი ამბავი რა არის, გენერალო.

— ვგონებ, არაფერი.

— მე ავი გთხოვთ წაკუყანეთ და გეჩვენებინათ ჩემთვის  
ჩვენი საღდათები.

— მე ეს-ეს არის რეტიროდამ დავიწვე და ჩვენ უველა და-  
ნარჩენის ჯარების ნახვა მოგვინდება.

— ესლა სად მიდისხართ?

— ციხეში.

— იქ უკვლას ეთიუიას,..

— არა, უკვლას არ ეძინება.

— უფრო კარგი; ესლა რომელს გზასედ წახვალთ, გენერალო?

— ქვემოთაზედ, ამისთვის, რომ იქ ზარბაზნებიც მინდა გავშინჯო.

— კარგი, მას ჩვენ ციხესთან დაგხვდებით.

— მეც იქიდან ერთად წახვალთ.

— არა, გენერალო, მე ჯერ ეს ჩემი ამხანაგი ქალაქში უნდა წავიყვანო; ამასაც ჩვენთან უნდოდა წამოსვლა, მაგრამ უეცრად ავად გახდა...

— ღმერთმანი ესლანდელი ყმაწვილები ცალ-ფუულად არა ღირან... დედა-კაცები არიან!..

— მეც ეგ არ გითხარი დღეს დილით?

— ცოტა სიტყვე ეყოფათ, რომ ავად გახდნენ.. მას, ახა წადი და ციხესთან მომიცადე; იქ ვივანშმოთ.

— ამ ერთს წამს იქ ვიქნები, გენერალო.

— მოგელოთ.

ათის წამის შემდეგ დანიელმა გააღო თავის სახლის კარები და შეიყვანა თავის მეგობარი, ცოტა ხნის შემდეგ თვითონ გამოვიდა და გამოიკეტა კარები. იგი თავის ქურჩან ცხენზედ შეჰხდა.

დანიელ წავიდა იმ ციხესთან, სადაც გენერალი მანსილი უნდა ყოფილიყო; მართლაც იქ დახვდა გენერალი. ჯერ მიესალმნენ ერთმანეთს და მეც დანიელს გენერალმა ყარაულების დათვალიერება.

ყარაულების უფროსად მარინო იყო დანიშნული და ვერ

წარმოიდგენთ, როგორ გაუვირდა, როდესაც დანიელ დანახა გენერალთან. მარინოს აზრით დანიელ ესლა ცარიელს სახლში უნდა ყოფილიყო.

დანიელმაც არ იცოდა, თუ დღეს ყარაულების უფროსად მარინო იქნებოდა, მაგრამ სასუსედა მაინც აჩავითარა გაკვირება არ შეეტყო. დანიელმა კი შეატყო მარინოს გაცეცხა და ამისათვის უთხრა გენერალს მანსილიას.

— აი რა არის ნამდვილი სამსახური, გენერალო, მარინოს კაღმისთვის თაკი დაუნებებია და სძალი აუღია ხელში.

— დღეს ამას თხროლობს ჩემი სამსახური, ბატონო ბელო, მიუგო გაკვირვებულმა მარინომ.

— აქ აჩავისა გკინავს, ეკელანი ფსიზლად ვართ.

— საუბედუროდ სხვაგან აგრე ფსიზლად არ არიან, დაურთო დანიელმა და სრულიად გადაარა მარინო, რომელიც ფიქრობდა, რომ თუ დანიელ გენერალს დასდევდა, მაშინ დაცარიელდებულს სახლში ნანახი ხალხი დანიელ და ამაღია არ აქნებოდნენ. მარინომ ველარ მართმინა და ჭკითხა დანიელს:

— დღეს თქვენ ცხენით არსად გაგისეირნიათ?

— როგორ არა.

— ჭოო!...

— შვიდ საათამდის გუბერნატორის მოადგილესთან ვიყავ, მერე, ვიდრე გენერალს მანსილიას შეკვდებოდი, ცოტა გავისეირნე. ჩემსე წინ გზასე ვილაც უცნობი კაცი მიდიოდა ცხენით.

— შენს წინ?

— დიად, ჩემს წინ, ზემოთ გზასედ, მიუგო დანიელმა.

— რას ვიზამთ? განაგრძო დანიელმა, — ჩვენ საწყელებს ერთის წამის მოსეკრებაც არა გვაქვს.

— მართალს ბძანებთ.

— ნეტა როდის ჩამოვარდება მშვიდობიანობა, როდის გაიმარჯვებენ წმინდა ფედერალური აზრები, რომელთაც თქვენ გულ-მოდგინედ ჭკადაგობთ გაზეთში!..

— როდესაც აღარც ერთი უნიტარი აღარ იქნება.

— აი დღეს სწორედ ამასევე კელაპარაკებოდი ბატონ გუბერნატორის მოადგილეს.

ამ დროს მოვიდა გენერალ მანსილიას ადიუტანტი ბელლასა და მარინოს დასახმარებლად.

ესენი შინ შევიდნენ.

სტოლის გარშემო თორმეტი თუ თოთსმეტი კაცი ზღვრებზედ და გენერალთან ერთად სუამდენ ღვინოს. მაგრამ ჯერველი ის იყო, რომ ფედერაციის სადღეგრძელოს წაკვინა სუამდა.

— თქვენ რაღა გნებათ, ბელო? ჭკითხა გენერალმა მანსილიამ.

— საჭმელი კი არაფერი, მაგრამ ფედერაციის სადღეგრძელოს კი დავუდე.

— გუბერნატორის სადღეგრძელოსაც, დასძინა მანსილიამ. შეველამ დადიეს სადღეგრძელო.

— ბატონო მარინო!

— თქვენი მონა და მოსამსახურე გახლავართ, გენერალო, მიუგო მარინომ და მივიდა მანსილიასთან, რომელმაც უურძი უჩურჩულა:

— უბძანე ხალხს, რომ დაიძინონ; ეს დიდ ხანს გაგტელდება და ისინი რილასთვის იყვნენ ზეზე.

— ხიდიც ავბლოთ?

— რა საჭიროა.

— თქვენა გგონიათ, გენერალო, რომ ამაღამ აჩაფქვი ამ-  
ბავი იქნება?

— სრულიად აჩაფქვი.

— კიდევ მიბძანდებით?

— დიად, სხვა ჯარებსაც დაკათვალელებ და შეკრ. მეც და-  
ვიბინებ.

— თქვენ კარგი თანა-მგზავრი გყავთ.

— ვინა?

— ბელა.

— მარტაღს ამბობ, ეს უმაწვილი კაცი სწორედ კანძია,  
კანძი.

— როგორ, გენერალო.

— არ ვიცი რატოა, თუ დაფქვილი სპილენძი, მაგრამ ძლიერ  
კი ბრწყინავს, სთქვა მანსილიამ, გაიღიმა და ჩამოართვა მარინ-  
ნოს ხელი.

უკვლახნი კიბეზედ ჩავიდნენ, და მასინ, როდესაც მანსი-  
ლია წავიდა ცხენზე შესაჯდომად, დანიელი მივიდა მარინოს-  
თან და უთხრა:

— სწორედ შესაშური თანამდებობა გიჭირავთ, ბატონო მარ-  
ინო, ნეტა რა იქნება მეც კვრეთი ალაგი მქონდეს, რომ ჩე-  
მი ერთგულება დავამტკიცო.

— თქვენც გინდათ იმ უსიამოვნობაში იყოთ, რა უსიამო-  
ვნობაშიაღ მე ვარ ფედერაციის გულისათვის.

— დიდის სიხარულით... თვით ცილის-წაშებასაც კი ავი-  
ტანდი.

— როგორ თუ ცილის-წაშებას?

— აი აქვე ჩამდინიძე პირი ჰკიცხავდა თქვენს უოფა-ქტევას.

— ხემს უოფა-ქტევას.

— ამბობდენ, ვითომც თქვენ ცისეში ღამის თქრთმეც სა-  
ათზედ მოსულხართ, და საღამოს შვიდ საათზედ კი უნდა მო-  
სულიყავით.

მარინო უუჩებადის გაწითლდა.

— ეგ ვინ გითხრა, ბატონო ბელო? ჭკითხა აღეკვებულმა  
მარინომ.

— მაგას კი ვერ გეტყვით, ბატონო მარინო.. თქვენ ხომ  
იცით, რომ ჭკეყანა სავსეა სიცრუითა, და ძლიერ ცუდი იქნე-  
ბოდა, რომ ეს კანონების აღმადგინებელსაც ვაეგო.

მარინო გაუკითლდა.

— სიცრუეა. სთქვა იმან.

— რასაკვირველია, ეს მხოლოდ სიცრუეა და სხვა არაფერი.

— მაგრამ მაინც გთხრავთ ეგ აღარავის უთხრათ, ბატონო  
ბელო.

— ჰატიოსანს სიტუკას გაძლეკო, ბატონო მარინო. მე იმ  
კაცებს ვეგუთვნი, რომელნიც ჰატიუსა სტემენ თქვენს ნიჭიერე-  
ბას. ამასთანავე მე ძლიერ მაღლიერა ვარ თქვენი იმ მფარვე-  
ლობისათვის, რომელიც გსურდათ გაგეწიათ ჩემის ბიძა-შვილის  
ამალიასთვის.

— ხომ კარგად არის თქვენი ბიძა-შვილი?

— მაღლობა ღმერთს, კარგად არის.

— ხომ არ გინახავთ ამ ცოტას ხანში?

— დღეს საღამოზედ ვიყავ იმასთან.

— მე შეგიტყე, რომ ის თავის სახლიდამ გადასულა.

— არა, ცოტა ხნით ჩამოვიდა ქალაქში და მალე ისევ წავა.

— მაშ ისევ მალე წავა?

— ამ დღეებში.

— წავიდეთ, ბელო, დანძასა ცხენზე მჯდომარე გენერალმა მანსილიამ.

— წავიდეთ, წავიდეთ, გენერალა; ღამე მშვიდობისა, ბატონო მარინო.

— გთხოვთ დაივიწყოთ უკვლა ეგ ცილის-წამებანი, ბატონო ბელო.

— მე აღარც კი რამე მასხოვს, ბატონო მარინო.

ამის შემდეგ დანიელ მოახტა ცხენსა და ისა და გენერალი წავიდნენ ერთად. მარინო გაოცებული დარჩა და სულ დანიელზედ ფიქრობდა: უნდოდა გაეგო თუ რა ჯურის კაცი იყო ისა. მარინოს სძულდა დანიელ, მაგრამ იმის სჯანბელებად კი ვერაფერი მოეხეწებინა.

### თავი მეცხრე.

მოდარაფე გენერალი.

ჯერ ისევ მეთორმეტე საათი იყო, მაგრამ ქალაქში კამდუმარება სუფთავდა: მსოფლოდ აქა-იქ ღამის გუშაგები მოჩანდნენ. უწინდებური მხიარული ხალხი ბუენოს-აირესისა ეხლასრულიად მიჩუმებული იყო და აღარცხად აღარა სჩანდა ის უმწვილ-კაცობა, რომელიც სულმც ცხანებასაკით მოელის ღამეს, რომ მხიარულებას მოჭეკეს და გასუნებადმის იჭეიფოს.

ამ მიერეებულს ღამეში მსოფლოდ დანიელისა და გენერალ მანსილიას ცხენების ფეხის ხმა ისმოდა.

— ჩვენს ქალაქს ჯერ კიდევ არა სძინავს... ვერ ამჩნევთ, გენერალა, რომ ჩვენი მოქალაქენი კიდევ ფხიზლობენ.

— ყველანი რალსაც მოელან, ჩემო შეგობარო, სთქვა გენერალმა მანსილიამ.

— დიად, ყველანი ერთსა და იმავეს მოელან, გეხერალო...

— დიად, ყველანი.

— საკვირველია, რა რიგის ერთ-სულელებით მოქმედებენ ყველანი!...

მანსილიამ იდუმალად შესედა დანიელს.

— განსაკუთრებით ერთს შემთხვევაში. მიხვდი.

— ვერ მივხვდი, რა შემთხვევაში?

— ყველას გულისთ უნდა, რომ ეს მალე გათავდეს.

— ესა? რა ესა, გენერალო?

მანსილიამ კიდევ შესედა დანიელს, რადგანაც ამ გვარში კითხვა იმას ყველაფერს გამოათქმევინებდა.

— შე მდგომარეობასედ გელაშარაკებო.

— მდგომარეობა!! თქვენთვის პოლიტიკური მდგომარეობა თავის დღეში არ გამოიცვლება.

— რატომ?

— თქვენ ცოლ-შვილის ფეხთით საჯდომად არა ხართ დაბადებული. თქვენ გინდათ პოლიტიკური ასპარეზი მოქმედებისა, — ეს მართებლობის სასარგებლოდ იქნება, თუ მის წინააღმდეგ. თქვენ მაინც უოკლეტვის დიდი მნიშვნელობა გქონებათ ჩვენს სამშობლოში.

— თუ გინდ უნატარებმაც გაიმარჯვოს?

— მაშინაც კი. მგონია, რომ მაშინ ბევრი ფედერალი გადავა იმათკენ.

— დიად. ბევრნი კარგ ადგილსაც დაიჭერენ საღრმობელაზედ. მაინცა და მაინც ადმადგინებელს არ უნდა ვუღალატოთ. თუმცა დანიელ გენერლის ორ-აზროვან ლაშარაკს კარგად

მიხვდა, მაგრამ მაინც ბავშურის გულ-წრთელობით განაგრძობს საუბარს:

— დიდა, ის ღიწლი არის, რომ ჩვენ ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში არ დავანებოთ თავი.

— ნუ გეშინიან, კარგად გამოიმკვრენს თავს. იმ კაცს ბედი არსად არა დალატობს.

— ეს იმისთვის, რომ იგი თვითონ არის წარმომადგენელი ფედერაციის წუობილებისა.

— საუკეთესო წუობილებისა, არა? სთქვა მანსილიამ და შეხედა დანიელს.

— მეც თითონ მაგ აზრისა კარ მას აქვთ, რაც კონგრესზედ დავესწარი.

მანსილიამ ტუნზედ ივბანა. ის კონგრესის დროს უნიტარი იყო; მაგრამ დანიელ ისეთის უეშმაგო თვალით უყურებდა, რომ მანსილია ვერც კი მიხვდა დანიელის ირწინიულს ლაშარას.

დანიელმა განაგრძო:

— ამ წუობილებას თავის დღეში ვერ დაარღვევენ უნიტარები. ტენერალ ჩოჩასის დამარცხება მხოლოდ ფედერაციებს შეუძლიანთ.

— კაცს ასე ეგონება, რომ შენ ორმოც-და-ათის წლისა ხარ, ბატონო ბელო.

— ეგ იმისთვის, რომ მე უკვლასფერს ვინსომებ, რასაც კი გავიგონებ ხალხე.

— აბა რა გავიგონე?

— მაგალითობრ გავიგონე ზოგერთა. ფედერაციების ქება — და თქვენც ტენერალა.

— ჩემი?

— დიად, თქვენი. თქვენ რომ გუბერნატორის ნათესავი არ იყოთ, მაშინ ის თქვენ თვალ-უურს გადაგვებდათ; ამისთვის რომ თქვენი ვაჟ-კაცობა, ჭკუა და ხალხისგან სიყვარული ამისთვის დამალული არ არის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ გუბერნატორს 1835 წელს მაინც ეთქვა, რომ თქვენ ომში გამომუსადეგარი ხართ.

მანსილიამ იმავე წამს მიაყენა თავის ცხენი დანიელის ცხენთან და გაჯავრებით უთხრა:

— აგრე უსვინდისოდ ლაპარაკი მხოლოდ. იმას შეჭყურის, — მაგრამ იცი ეკ რად უთქვამს?

— იქნება ხუმრობითა სთქვა, გენერალო, მიუგო დანიელმა.

— ამისთვის უთქვამს რომ ჩემი უშინიან, უთხრა მანსილიამ და თანაც უკადრისის სიტყვებით მოხისყენა მოზახსია.

ასე გულ-ღია ლაპარაკი მანსილიას ხასიათად ჭკონდა, მაგრამ მიხვდა კი, რომ ასეც არ უნდოდა. ესლა უკან დასვეა აღარ შეიძლებოდა, ამისთვის იმან განიზრახა, რომ დანიელისათვისაც გამოეთქვევინებინა გულის საიდუმლოება და უთხრა ცბიერებით:

— მე კარგად ვიცი, რომ თუ საჭირო იქნება, ემაწვილ-კაცობა ჩემს მხარეს დაიჭერს, ამისთვის რომ ესლანდელი წყობილობა არავის არ მოსწონს.

— იცით, გენერალო, მეც აგრე ვფიქრობ. მიუგო დანიელმა ისეთის გილოთი, რომ თითქმის მას ეს აზრი პირველად ესმოდა.

— და თქვენც თვითონ ჩემს მხარეს დაიჭერდით.

— არეულობის დროს?...

— ჰმ, როდესაც უნდა იყოს, უთხრა მანსილიამ, რომელსაც ეს საზარელი სიტყვა არ უნდოდა წარმოეთქვა.

— დიად, მე მგონია, რომ ბევრს მომხრეს იპოვიდით.

— თქვენ, თქვენ დადგობოდით ჩემის დროშის ქვეშ? ჭკითხა მანსილიამ, რომ გამოაშკარავებით ეთქმევიანებინა რამე.

— მე? მე მაგას ვერ ვიზამდი, გენერალო, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო.

— რა მიზეზისა?

— იმის გამო, რომ მე დავიფიცე არ მივბამო ჩემის ხნის უმაწვილ-კაცობას, ამისთვის, რომ ისინი მომეტუბულად უნიტარები არიან და მე ვი ფედერაციის ერთგული მომხრე.

— ჭა! ჭა! ჭა!...

— ახლა ვი გაკჩნოდეთ, პოლკოვნიკის რაკეტას ჯარს და გუანდოვდით.

მართლაც ისინი მივიდნენ რაკეტას ჯართან. გენერალმა დაათვალიერა ესენი და მერე სხვა ჯარებთან წავიდა.

დილის მესამე საათი იყო, რომ გენერალი მანსილია მოწინა ჯარების დათვალიერებას და წავიდა შინისაკენ პოტოშის ქუჩაზედ.

დანიელმა მიაცილა ის სახლამდის, მას არ უნდოდა, რომ გენერალს შეენახა თავის გულ-ღია ლაშარაკი დანიელთან, რისთვისაც უთხრა მას სახლის კარებთან:

— მე ძლიერ ვწუხვარ, გენერალო, რომ თქვენ ჩემდამო რწმუნება დაჭკარკეთ.

— მე ბატონო ბელო?!'

— დიაღ; მე კარგად ვიცი, რომ ჩვენს უმაწვილს კაცობაში ბევრი უგუნურად იჭრება; თქვენა მცდილით მე და ამისთვის იმაზედ დამიწუეთ ლაშარაკი, რასაც თქვენს გულში არა გრძნობდით. მე კარგად ვიცი, რომ აღმადგინებულს გენერალ მანსილიასთან ერთგული არავინა ჭყავს. მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, თქვენ ჩემში ფედერაციის ერთგულობის მეტი ვე-

რა იპოვეთ-რა, — არა? ჭკითხა დანიელმა ტანტებ მოშიშარის-  
ხმით.

— სწორედ, სწორედ, მიუგო მანსილიამ და მსურველედ  
ჩამოართვა სელი.

— მაშასადამე, თქვენ ჩემი მფარველი იქნებით, გენერალო,  
არა?

— უოკელთვის, ბელა.

— მაშ ნახვამდის.

— ნახვამდის.

დანიელმა გამოაბრუნა ცხენი და სიცილით ლაშაჩაკობდა-  
თავის-თავად:

— შენ, ჩემო ძველო მეგობარო, თავს არ დამანებებდი, თუ  
გი გცოდნოდა, რომ მე შენი გულის საიდუმლოება ვიცი.

### თავი მეათე.

#### სამშობლო, სიყვარული, მეგობრობა.

დანიელ დაბრუნდა შინ, თავის ცხენი თვითონვე დაახა:  
თავლაში, რადგანაც ფერმინი შინ არ იყო და სხვა მოსამსა-  
ხურებმა კი არა იცოდენ-რა დანიელის ღამე მოგზაურობისა.

დანიელმა ანთო სანთელი და პირველად იმ ოთახში შე-  
ვიდა, სადაც ედუარდოს კმინა. დიდ ხანს დასცქეროდა მძინა-  
რე ედუარდოს და ათას ნაირი ფიქრები ეკრეოდენ თავში.

ბოლოს შევიდა თავის კაბინეტში და დაღლილ-დაწუხეტი-  
ლი დაეშვა სელზედ.

უეტრად შეერთა იგი, ვაისწორა თმები, ამოიღო სტო-

ღის უჯრადამ წერილები და ერთს იმათგანს დაუსვა რიცხვი. მეტი დასწერა ეს წერილი და წაიკითხა დამშვიდებულის ხმით:

«ბატონს ბიუშე-დე-მარტინის და სსვ: და სსვ:

ბუენოს-აირესი, 1 სექტემბერს 1840 წ.

«დილის ოთხ საათზედ.

«დიდად პატივ-ცემულ ბატონო.

«მე მივიღე თქვენი წერილები წარსულის თვის 23 და 24 რიცხვით, რომელთაც დამარწმუნეს, რომ ჩემს სამშობლოს ესმარებიან ანამც. თუ მარტო თავის შვილები, ანამედ უცხოებიც, რომელთაც კი წმინდა გული და გრძნობა აქვთ.

«ჩვენი ესლანდელი მდგომარეობა ჩემთვის ცხადია: ან ქალაქი აღემულ იქმნება ორის კვირის განმავლობაში უეცრად თავზე დასხმით,—და მაშინ როზასი სამუდამოდ დაიღუპება, —ან არა ზ თავისუფლების დამცველი ჯარი უკან დაიწევს და მაშინ ჩვენი საქმე წაგებულ იქნება და კელაჩავის მოშველება კელარ გვიშველის.

«ჩვენ უნდა ყოვლის ღონისძიებით დავეცადოთ ლავალეს, ჩვენ უეცრის თავ-დასხმით თუ გავიმარჯვებთ, თორემ რიცხვით მტერი ჩვენზე უფრო ძლიერია. ბუენოს-აირესის მცხოვრებლებიც მაშინ მოგვეშველებიან, როდესაც ჩვენის ჯარის იარაღის ჩხარა-ჩხურს ქუჩებში გაიგონებენ.

«ლაჟალე თავის ჯარით უნდა შეებრძოლოს როზასს, თუ სხვებიც უნდა მიიშველიოს? კითხულობენ ბევრი.

«კიდრე ამ საგანს ავხსნიდე, მე მინდა დავარწმუნო ლავალე ზ უველა სხვებიც, რომ როზასის ძალას ციხეები, ზარბაზნები ზ სალდათები არ შეადგენენ,—იმის ძალა ბუენოს-აირესშია. ბუენოს აირესი—თავია და სხვა მარბები კი იმის ასლები. ამ შემთხვე-

ვასში შეიძლება ამ ნაირი კითხვა აღეძრათ: უნდა შირ-და-შირ ქალაქსად მივიდეთ, თუ არა?

«ლავალეს ადგილას რომ ვიყო, მე უსათუოდ შირ-და-შირ ქალაქისკენ გავსწევდი ჯარით, რადგან უკან დაწევა ჩვენის ჯარისათვის მაკნებელი და დამღუპველი იქნებოდა. ამისთანა გაჭირებულს მდგომარეობაში მე იმ მოედანზედ ვამჯობინებდი ბრძოლას, სადაც გამარჯვების იმედი მექნებოდა, თუ გინდ რომ კიდევ ნასევარ-ჯარი გამწევეტოდა.»

«ქალაქში ლავალეს ჯარს თავ-გამოდებით არაგინ შეებრძოლებს; თქვენი ძლიერ მოწვევით არაინ; ამომეტებულნი მათგანნი ლავალესკენ გადავლენ, რომ შემდეგში ღიბურალები-საგან აღარ იყვნენ დევნილნი.»

«წინანდელს ჩემს წერილებში გაცნობებდით რომანისის ჯარის მდგომარეობას, მათს დაწყობილებას და სხვ. თუ რომ ეს ჩემი წერილი მიიტყვეს თქვენს უურადლებას, მაშინ ჩემი სურვილი აღსრულებული იქნება.»

«დასასრულ გთხოვთ დაწმუნებული იყოთ თქვენდამი ჩემს პატრიის-ცემასა და ერთგულებასში.»

«ბ.»

«დანიელმა დაბეჭდა ეს წერილი, შევიდამ რამდენიმე სიტყვა დაწერა დუგლასთან და დამალა იგი სტოლის საიდუმლო უჯრასში.»

შემდეგ დასწერა ეს წერილი:

«ამაღლისა მე ნამდვილად გავიგე, რომ წუსელის ჩვენს ფანჯარასში მოცქერალი მარინო ყოფილა და მე ყოველივე ღონისძიება კისმარე, რომ იმისთვის გზა და კვალი ამერია. ესლამიან-აღარ იცის: მე დამინახა ოთახში, თუ შენ.»

«ამ დღიდან უფრო გულ-მოდგინებით დამიწყებენ ზვე-

რვას. მაგრამ რა გაეწეობა, გაჭირვებაში უფრო გაბედვით უნდა ვიმოქმედოთ.

«საჭიროა, რაც შეიძლება მალე, შენ ქალაქ გარეთ სახლში გადახვიდე.»

«დრონი ანაზღეულად იცვლებიან და ჩვენც ანაზღეულად უნდა ვიმოქმედოთ, ვიდრე ან არ გავიმარჯვებთ, ან არ დავემარცხებით.»

«ღმერთმა ყველა კეთილ ხალხს უშველოს!»

ამ წერილის შემდეგ, დანიელმა მისწერა თავის ფლარენსიას ეს წერილი:

«საყვარლო ფლარენსია! თუმცა მეტის-მეტო ბრძოლას მტარკვალბთან მე ძლიერ მარტულურებს, მაგრამ მაინც უბედნიერად რესად ვთვლი ჩემს თავსა, რადგან შენი გული მიპყრობა და შენს წმინდა სახელს მარადის ვავედრებ ღმერთსა...»

«დღეს ძლიერ ბევრი დავიტანჯე და სასურველებად ისა მქონდა, რომ შენ აღასრულებდი ჩემს სურვილს. უნდა და-არწმუნო დედა შენი, რომ შენ და ის მონტეკვიდეში წასვოდეთ, მხოლოდ, რაც შეიძლება, მალე კი, თუნდა ხვალც ვე-ლა ამას მე მოგიხერხებთ.»

«თუ რომ შენს დასამშვიდებლად საჭიროა, რომ წასვლამდის შენ ჩემი მეუღლე შეიქმნე, ხვალვე შეგვკავრებთ. ეკლესია, როგორც შეგვკავრათა ღმერთმა სამუდამოდ.»

«ცა, რომელიც ჩვენს გვფარავს, ჭაერი, რომლითაც ჩვენს გასუნთქავთ—ყველაფერი უბედურობას გვიქადის და, იქნება კიდევ... ვინ იცის! ამისთანა დროს მე არ მინდა, რომ შენ ჩემი იყო, შენ, ჩემი ნეტარება, ჩემი სამოთხე. მაგრამ თუ შენთვის ჩვენი შეერთება საჭიროა, ურველთვის მზადა ვარ.»

«მე ნულარათვარს მკითხავ. მხოლოდ შემიძლიან გითხრა,

—რომ ჭაქრი ამ გარყვნილის ქვეყნისა ნულაწა შესამავს შენს სუნთქვას. ნუ მოითხოვ ჩემგან მონტუკვიდეოში შენთან ერთად წამოსვლას... ეს შეუძლებელია. ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია, მე მიღუწსმული ვარ ბუენოს-აირესზედ და... მაგრამ ერთის, ან ორის კვირის შემდეგ ჩვენ ერთმანერთსა ვნახავთ. ეს ხომ მთელი საუკუნეა—არა? რა გაეწეობა! მაგრამ სადაც გინდა იყო—ჭაქრში, თუ ცაში, უკვლავან შენ მე უნდა მესაუბრო, ჩემო ფლორენსია, ჯ მეც მოწიწებით შეგინახავ შენს სიტყვებს იმ სადგურში, რომელიც სრულიად შენ გვეუთვნის—ჩემს სულსა და გულში.

«გამიგონე, ჩემო მშვენიერო!..»

«დედა შენი გერაფერში უარს ვერ გეტყვის».

«რაც ვი ვთხოვე, ჩემსა და შენს საბედნიერად ვთხოვე».

«დანიელ..»

უმაწვილმა კაცმა დაბეჭდა ეს წერილი, შეინახა უბეში და ელდა დიდას, რომ ეს წერილი და სხვებიც გაეგზავნა.

(შემდეგი თქვება)

## მზნაპრის უენიზვნეპი

სახიგილოსა და ქიზიყუედ.

..სიცხე ზანანაქება იყო. მე ჩამოვხდარ ს. მანხანის კალაქებზედ ესრედ წოდებულ ყარღაჯში იმ. ყარღაჯში, სადაც უწინ ყოფილა სადგური ჩვენთა მეფეთა და რომელიც შემდეგ სანებში უქცეკიათ მათ ზატარა ქალაქად—თავიანთ ადგილ-სამყოფილად. უშველებელის სიგძის და სიგანის. ცისის კედლების საძიკვლები-და მოჩანს ამ ადგილების. წარსულ ცხოვრების ძოწამედ. დანარჩენის ნანგრევებით ქიზიყელთ საბძლები გაშენებულა. ოც-და-სუთ ვერსტამდე იქნება მანძილი ამ კალაქიდან თვით ს. მანხანამდე! მაგრამ ეს კიდევ არათუერი. ზედ ხლანის სიღთან არის გაშენებული კალაქი ს. ბოდბისსკვისა და ამ სოფლიდან კალაქამდე ორმოც ვერსტზე მეტია! ამ სიშორეზე ჭხნავს და ჭსთესავს უშველებელ სათემო მინდორზე ქიზიყელი კაცი! კალაქობას ჩამოდის თავის ჯალაბობის მცირე ნაწილით, აქვე ჭლექს უშველებელ მოსავლის ძირებს, მერე სამ-ულელა შებმულ ურმით სიცხე-ზანანაქებაში მიეზიდება ურემს ურემზე, ჰურს თუ ქერს თავის სოფელში. დასაფქავადან აქედან სამოც ვერსტზე მანც, ან საინგილოში, ან გარე-კახეთში მიიქვს!—დამეთანხმებით, რომ ეს მართლაც ცუცხლის ჰურის

ჭამა ქიზიუელის გლეხისთვის, რომელიც ჩვენში ამ მხრით სხვა თემის გლეხობაზე ბევრად უფრო გაჭირვებულა, თუმცა სიღატაკით, თუ გონების გამჭრიახობით სხვა თემის გლეხი მას ვერ დაუმხარდამხარდება!... ოღონდ იეოს თავისუფალი ღ ფართო ალაგი გუთნისთვის და შავ-თვალა ხარისთვის, თორემ ათასის წლის გუთნის ჭრულის რწმენას მისთვის ტანჯვაც კი ღ ხინად გადაუქცეოა!... ასეთი თავისუფალი და უხვი სახსნავი ქართლელ გლეხის გონებაში მოუთავსებელი რამ არის... ქართლში გლეხი ამ გვარ ბუნდნიერებას სამოთხეშიაც ვერ წარმადგენს! ჩემის აზრით სახსნავ-სათესის სიმორე უნდა იეოს იმის მიხედვით, რომ ზოგიერთი ქიზიუელი უელამდის სარჩოთა ამსებული და ზოგს კი ნატისუსალი ასდის სიღარიბისა და სიღატაკისაგან.

— რა უნდა ქნას თქვენში უილაჯო, უხარო კაცმა ამ სიმორეზე ხვან-თესვის გამო?— დაგვეთხე ჩემს პირდაპირ მჯდარ ქიზიუელს დუქანში, სადაც მე ჩამოვსტი პატარა ხანს დასასვენებლად.

— რა და, ხარინ და მქონეს გვიშველის-უე და ჩვენც უხანამთ, უელწავთ-უე..

— ეგ კარგი, ძმობილო, მაგრამ ლუკმა-პურის შოვნისთვის, ხომ მთელი წელი შენ უნდა გემოს უილაჯო კაცი? იმიტომ ამბობენ კიდევ რომ თქვენში საწყალი განადგურებულაო?! ვუთხარი მე.

— დალოცვილო-უე, კაცს ჭამა უნდა და ჭამამ უმობა, თუ ემბაკი, არ იცის ჭამოკითხვა-უე. აი, ესლა შენ თევზ მიერთე, აუფლი რომ არა გქონდეს — მედუქნეს პალტო უნდა მისცე-უე — ჩვენშიაც აგრეს.

— მართლაც ამბობ, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ: მამა-  
პაპით გუთანი გვწამს—მეღუქნეს კი ღუქანი.

— ესლა უწინდებურად რომ მაგასუად აღარ დგანან-ყე—გუთ-  
ნურს ღუქნური ძან დეემატა-ყე—თქვა გონიერმა ქიზიყელმა  
ღთან მომატანა, რადგან წყლის დიტრას მოკეუდე—უ წყალს  
მაგრე ნუ მიიწთმევ—ძან ბეკრი წურბელა იცის-ყე...

— აქ ამაზე მეტი წყალი ხო არ არის და თუ წურბელია-  
ნია, უწინ მეფეებს რომ გოგონა უცხოვრიათ აქ? ვკითხე უნებუ-  
რად ქიზიყელს...

— მაშინ წყალიც წმინდა იქნებოდა-ყე, ესლა კი რა ამბა-  
ურია—ამის თქმაზე მე მოკისედე წყლისკენ. იქ საშინელ სიციხის  
ლოლზედ სამასამდე სულ კალოს ხარ-კამეჩს მოკეარა თავი თა-  
ვის მწვემსებით, წყალი კი უმაწვილის მკლავის სისხლ ძლივს  
გამოწანწვარებდა საშინელ უწმინდურობიდან. იყო ერთი თავ-  
პირის მტკრევა თუ დიდთა, თუ პატარათ შორის. იყო უდიე-  
რი ლანძვარა და ლანძვარა მართლაც ქიზიყური... უნებურად ჩე-  
მის ამხანაგის თქმამ: «ეს ქიზიყელების სკოლაა» ჯერ გა-  
მხლიმა და მერე დამაფიქრა...

— ამ გზის პირს საყდარი ყოფილა, მართლაც საყურთსეკე-  
ლილა ჩანს—არ იცი, ძმობილო, დიდის ხნისა, ან სახელად  
რას ეტყვიან? ვკითხე ქიზიყელს კარგა ხნის სიხუმის შემდეგ.

— საყდარია-ყე, მაგრამ სახელს ვინ უკითხამს?

— რატომ არ უკითხამთ, ძმაო, მაგ საყდრებმა არ შეგვი-  
ჩანეს მამა-პაპის მამული და მტერმა თუმც მრავალჯერ დაგვწა-  
ბაკიკაღო, ისევე საყდარს სიუფროვეს კატანდით?...

— იქნება უწინ ჩვენს სახნაკ-ჩათესს, მიწა-წყალს ქსანამდენ-  
ე საყდრები, მაგრამ ესლა ვილა კითხულბს?—ვანგრკეთ-უე  
და საბძლებს ვიშენებთ.

— მას ხატის ადარ გეშინიანო? თუთრ-კაბა მკითხავენო მუხრუჭს ადარ გიჭირებენ?...!

— ჭიი, გათავდა-ვე ის დრო, ესლა საყდრისა კი არა, მკედრისაც ადარ ეშინიანო...

— მას ხატო-პარები ჭეოთვილხანთ, ქრისტე-პარები? ვუთხარ მე დიმილით.

— ზოგი გოჭს იპარავს და ხატო რა მოვიპარათ, რაა— ხო არ იჭეველებს-ვე მითხრა მან დაცნივით...

II

გაცნობით აქ მეტად შეგუბებულ და მდორე აღაზანზე გადადებულ მულანოს სიდას და თქვენ დაიწყებთ სიარულს უწინა დელ წუკეთის საერისთაოზე, რომელსაც შემდეგ აღი-სასულთნო რქმეკია და დღეს კი საინგილოდ და ზაქათლის მარხად ზრის სასელ-დებული. ეს ქვეყანა ისე მდიდარია ბუნებით, რომ მის სიმდიდრეს დიდ ვაების ტანჯვის შემდეგაც არა სთმობენ მისნი შეიღის; თუმცა ზედ უნაცვალეობათ თავიანთი ადათებიც და საწმენოებაც... მაგრამ ისევე ქვეყანას შეჩინიან და არავისთვის კი არ დაუთმიათ. ეს ქვეყანა, როგორც ნაპირი ტანჯულის საქართველოსი, ათას-ჯერ უფრო მეტად ტანჯულა და წამებულა, ათასჯერ მეტად გაყენთხილა ადამიანის სასხლით, ვიდრე შუაგული. ამ გაცხარებულ ბრძოლაში ხან-მოკლიც ბევრს ექს ჩაჭვარდნია ეს დიდებული ქვეყანა ხელში... ელინნი, ლეკნი, მულანნი, სპარსნი. ყოფილან ქართველთ მოცილებნი, მაგრამ დღეს განგებანს სამი-ათას კვამლ ქართველთათვის კიდევ მიუცია აგი სამარხად და საკვებად. ლეკთა და ორ სოფელ

მულაღთ უკვე რგებიანთ ლუგმა ამ მშვენიერ მამულში... ხიდის გასწვრივ ჩრდილოეთით მოჩანს შარანი დაღესტანი და ჩაგრულ ინგილოს შუა აშართული კბილებიანი გაგასისი ქედის შტო; კბილებსა და კბილებს შუა გასდენია უხვად მდინარენი ქურბი მუსი, ბელაქნის ხევი, ჭარის ხევი და სხვები, რომელნიც იკლანხებიან შემუშავებულ და ზედი-ზედ მიწობილ სოფლებით სავსე საინგილოს ველსად; უხვად რწყამენ მის დაღესტანულ ნიდაგს. უამთოდაც წამ და უწუმ შეტხვდებათ ქვით-კირით ამოგებულ წყაროები, ზღვა ჩაღთუგის ნათესობისა, კელური კავლის ხეები, ხესილი, ვახები, ბზის ტყეც კი...

გზა-ტკეცილია შემიყვანა ს. მულაღროში—მულაღთ სავანეში. ბუნების ძალთა ამბობებს სენა-თესვისთვის მიუჩვევია ეს სისხლის მსმელი ჯილაგი, თუმცა მათი სახე ესლაც ცხადად გუებნებათ: «ჭაი, ჭაი, სელ სისხლის მოსვრით უფრო ჩვენებურ «სიგემრელით» კვამთ ლუგმასა...» რა განსხვავებას სდებს ამათა და ივრის პირზე დასასლებულ ხელ-უფრელთ, ნადირთ და წუმზიან ქოხებში მომსვრჩად მულაღთ შორისს! აქ ესენი სოფლის სისუფთავის გულისთვის განაპირის ვალოებზე უშველებელ მოსაკალს ჭლეწვენ... სოფელი ლამაზ ხესილშია მოქცეული. ვახებიც კი ჩაუმწკრიებიანთ რიგზე, ეზოები, მშვენიერი სახლები კირით დაღესიფი, ფანჯრებიც კი! ყოველს ნაბიჯზე მეჩეთები გარს გაღვანით და გვერდზე სკოლით!... გზა-ტკეცილი ამათვე სოფელ ფარდაღროში მიგიყვანთ იმასვე ნახავთ აქც... წასდგამთ ფეხს და წინ კინვდებათ ს. კანდახი დასასლებული მომეტებულად ინგილოთა და ცელტა ლეკითაც. რჯულით ორნივ მატმადიანნი არიან. გაკვირვებთ სისუფთავე გზებისა, ეზოებისა, სახლებისა, სიმრავლე ხესილთა, მაგრამ ყველაზე ძლიერ მეჩეთები სკოლებით!... ოთხ ვერსს მო-

შორებით ამ სოფელზე გზა-ტყევილმა მიმიყვანა მარტო ინგილოებით, მაგრამ გამაჭმადიანებულ ინგილოებით, დასახლებულ უშველებელ სოფელს: ალიაბათში. ათას-ორასი კომლი ინგილო სახლობს ამ აურებულ სუბილში ჩამხვრჩალ სოფელში, რომელსაც მრავალჯან სჭრის ფართო გზა-ტყევილი თაკით ბოლომდის ნაშირებში მომდინარე წყლებით. აურებელი წვრილი მქნეთებია სკოლებით, მაგრამ ერთი ყველაზე უშველებელი მეთად მშენიერია და თითონვე ხალხის დადგმული ამ ცოტა ხანში, რადგან წინად ქრისტიანნი ყოფილან. როგორც ცოტა ხანს წინად ქრისტიანნიო?! მკითხამთ თქვენ. ამ თხუთმეტ-ჩვიდმეტის წლის წინად აქ ყოფილა ქრისტიანების ეკლესია უბადრუკის სკოლით. გამოუვლია ერთ დღეს მთავარ-მმართველს მისიელ ნიკოლოზის ძეს და უთქვამს თავ-მოყრილ ჯიშათისთვის: «ჩემთვის ქრისტიანი, მაჭმადიანი სულ ერთია, რადგან ხელმწიფის ერთგულნი იყავითო» და ამის შემდეგ არ გასულა ერთ-წელი — ეკლესიაც დაეწვათ, სკოლაც და სამაგაროდ სასოგადობას აუშენებია ეს უშველებელი მქნეთი დარბეული, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, რჩი-ათას თუმნად!... დირს-შესანიშნავი და თავ-სამტყრეკი მოკლენა: მამით-პაპით ქრისტეს მორწმუნე ინგილო ქრისტიანობისკე წამქეზებულ მთავრობის ქვეშ ასე უღივსად იტვის მაჭმადიანობისკენ!...

ალიაბათს გარდა ჩახვარზე მომეტებულნი მცხაკრებნის, შოთავრასი, კერხვანასი, ყარღნისა, თასმალასი და სხვებისა, თუმიცა მამა-პაპით ქრისტიანნი ყოფილან ზღუდესა ქურმუხის წმინდა გიორგის მოწიწებით მომხსენებულნი არიან, მანც მაჭმადიანობისკენ მიდრეკილან, თუმიცა მთავრობა ქრისტიანობას აქეზებს — სახელმწიფო სარჯს ქრისტიან ინგილოს რთხ მანეთს ართმევს, მაჭმადიანს კი ექვსსა და ასე...

პირველ შესვლაზე ამ მოკლეების საბუთად ჩასთვლით იმას, რომ მაჭმადიანთ ცოლის შერთვა იაფად უჯდებათ (ათ თუმნამდის), ქრისტიანს კი ძვირად (სამოც თუმნამდის); რომ ქრისტიანული მღვდლები ნაკლებ უქდაგებენ ხალხს და მაჭმადიანთ მოკლები, ეგენდები, უსუბი სულ ყოჩანს ჩასჩინებენ; რომ მაჭმადიანთ მოლა თავის სამწესოს შვილებსაც უსწავლის, ლოცვებოთაც სწამლობს და ჩვენი მღვდელი კი დამარსკა—მონათვლის მეტს აჩას უკეთებს და სხვ.—მაგრამ ჩემის აზრით დამ: მიუსუბი ამისი ინგილოთ მიერ მიწის-ხვნის კულტას წამება; ამათ მრავალჯერ უწვნიათ ამ ბოლოს უამებშიაც კი—თუ რა არის მაჭმადიანთ ხუნანტიზმი. გარე-შემოტყემულ მეზობელ მაჭმადიანთაგან გიდეკ მრავალჯერ ესმით დღესაც მათის რჯულის უგუნური აღთქმა, რომ მთელი დუნია მუსულმანთ დაჭრებთ მალე და გაიურნი კი მათ ხელით მოიძესვრებიანო; უნებურად სჯერათ ესა და ოღონდ მათ ხუნათესვის წმინდა წესებს ნურა შეარყევს-რა და რჯულს საითაც უნდა, იქით გადასდებს. ამასვე მხარში უდგა ის მტარვალური მხარე. მაჭმადის რჯულისა, რომ ქრისტიანთაგან მოზარული საქონელი მუსულმანს ტყბილად შეერკებაო. ძლიერ სარგებლობენ ამით მუსულმანები: ჩემს იქ ყოფნის დროსაც კი ვნახე როგორ დაატუსაღა რამდენიმე მოლა ნაიბმა ამ გვარ ქადაგებისთვის. საქონლის მოზარვა, რასაკვირველია, არღვევს ხუნათესვის კანონებს და მათს შეუცვლელად ყოფნას სწირამს ყველას ქართველთ ჩამომავლობა. ამის შესასებ ერთ ამზავსაც ვუთმობ მკითხველს: 1877 წელს რომ შაქათლის მაზრაში მუსულმანთ მოძარობა იყო, ს. კაკის ხეობაშიც ჩამოვარდნენ ლეონი «ლა აღჭისა» მღვრითი იქ მყოფნი სამსახურის ხალხნი, თუ ვაჭარი სომხები, მაშინვე ამბარდნენ. გაგული ინგილოები კი, რომელნიც ქრისტიანე

ნი არიან, ფეხს არ იცვლიდენ. «თაკები, უკვლას ხომ დაჰმარსულები გვაქვს, მოკლენ ლეკნი და ჩვენ ვეტყვიან, რომ მატყმადიანნი ვართ» ამბობდენ ისინი.

ამ გვარს აწინდელს, თუ წარსულს საცოდავ მდგომარეობას ინგილო შეუქნია საძინელი პირ-მოთხე — უხასიათო. ეს სახის-მეტყველებიდანაც კი ცხადად გამოსჩვიის. პირის-სახეს ქრისტიანიც კი იკეთებს, იპარსამს ისე, რომ მატყმადიანს ემგზავსება. რჯულიც სულით და გულით არც მატყმადისა უჭირავს, არც ქრისტიანული. მე თითონ დავესწარ ნათლობაში, სადაც მომხანთვლენეს ორი ინგილო უმაწვილი. მღვდელს რომ არ ეთქვა, ქუდს არ იხდიდენ — პირ-ჯვრის წერის სხენება არ იყო. შემოსილ მღვდელს, წყალში ჩაუფრქუმელებას, კმეკას, სანთელს, საცინელი ზედ-მოქმედება ჭქონდათ მათ სახეზე. მხოლოდ თითონ ნათლია მამა-პაპით, ქართველურად მიანნათ დიდ ნათესავად. მირონი ძლიერ სწამთ, ასე რომ, წადგან ინგილო ერთის სოფლიდან მეორე სოფელში ქალს არ ათხოვებს და ბევრის ნათესავების მოკიდება თავის სოფელში ეჯავრება; იმიტომ სხვათა სოფელს უფრო ანათვლენებს თავის შვილებს. სომხებს აქაც უპოვიათ ამ შემთხვევით ცარცვის საშუალება, წადგან მეჯვარეობა, თუ ნათლობა ინგილოთ ამათვის დაულოცნიათ. ესეც ქართველობის მახეებელი ზამოუფსეკი დამადა! აქ იყვნენ დარბაისელი ინგილოთაგანნი, რომელთაც მოიგონეს ვარანტოვის მიერ თბილისში თავიანთ დანათვლა: «ჯული ძაღლი წყალი ცივი იყო, მაგრამ ვარანტოვი კვი ცაცი იყო, ვარკვი საჭმელი გვაჭამა» — ამბობდენ ისინი... მე როგორღაც ნათლიას, ჩვეულებისამებრ, მიიუქმეს ხელოვნურად ნათლიადედის მიერ ნაქსოვი ხურჯინი, ჭრელი წინდები, ცხენის გარსაკრი, ხურჯინის სახლართები და სხვა. გმაკვირვა ინგილოს

ოჯახის ქალის ხელფანებამ და მომაგონდა ის ჩემ სსოვნაში  
სამწუხაროდ გადავარდნილი ჩვეულება ჩვენის ოჯახის ქალისა,  
რომელსაც უსათუოდ უნდა ესწავლა და სცოდნოდა ქსოვნა-  
ოჯახში უცილებლად საჭირო ნივთებისა: ხურჯინისა, სცა-  
ლოსის, ფარდაგ-საღიზისა, შალისა, ხამისა, მერდინისა, ჭიკრი-  
შისა და სხვ. დაუვიწყარი სურათი უნდა იყოს იმისთვის, ვისაც  
უნახავს სოფელში ამ ხელობის მცოდნე ქალებთან \*) როგორ  
დაიარებოდნენ ოცამდის ქალი-შაგირდი უოკულ-დღე ამ ხელო-  
ბების შესასწავლად, რადგან ამ ცოდნა-მოკლეუფთ არაგინ  
ითხოვდა... სადღაა ეს მშვენიერი ადამიანი სოფლებში?!.. ვახის  
გამოტყდაც ვი ხშირად არ იცის ესლანდელმა ქალმა — ყველას  
შინა-მზარეულს თხოვლობს. ხელობის მაგიერ ესლა «კეჩუა-  
ობამ» და «კავალრებსე» ოხვრამ დაიჭირა ალაგი!... ვაჟებიც  
ვი ამ გვარ «ახალ-მოდის» ქალს უფრო ეტანებიან...

ინგილო დღესაც არას უიდულობს სახლში, ლოგინის მა-  
გივრად მის სახლში რამდენსამე ალაგს ჭინახით სუფთად და-  
კეცილ ოჯახში ქალთაგანვე ნაქსოვს დიდ გროვას ფარდაებს,  
ჭკემ ნაბად წაკრულს, ხურჯინს, სცალოსს; მშვენიერს მოვს,  
ხამს, შალს, დღესაც ქსოვს ქალი იქ და ჭმოსავს ოჯახს! დვი-  
ნო, ჩალთუგი, პური, კრობ უხვად მოსდის ყველა ინგილოს.  
იმიტომაც ვერ იზოგი იმათ უშველებელ სოფლებში ვერც ერთ  
დუქანს, ამ სულსა და გულს ჩვენის სოფლებისას. სოფ. ალია-  
ბათი და სოფ. ვაკი ვი თითონ მთავრობის ნებით შექმულა  
ამ ცივილიზაციისა, მაჩვენებელ სამკაულით. მმართველს ამ  
ჭვეუნიასს, აწ განსვენებულს სომეხს შელოგინიოვს, კრუხ-წი-

\*) ქაზიყში ბევრ სოფელში დარჩომილა დღესაც ეს ადამიანი და  
ხალხიც სულით და გულით თანა-უგრძნობს.

წილასაჲ მორეკენია ნუხ-ყარაზადიდან ეს თანა-მომქენი და ამ  
 ორ სოფელში დაუსასლებია. უგვარნათ ამ ღირსეულ შეილება-  
 საც და ამ სოფლებში. გაუბამთ ქსელები—დღეს ინგილას ბაღ-  
 დსაც რომ ჭკითხო ჳვის უფრო ბევრი ვალი ჭმართებს თქვენ-  
 შიო? გიჴსასუბებენ—ჯაჴულებსაო. ჭკეენა წასედულობით არის.  
 სხვა სოფლებსაც ათილისმებენ, თორემ მარტო ერთი და  
 ორი სოფელი კიდევ არაფერი... აი ღირსეული ნაყოფი ღირ-  
 სეულის მტენარისა, რომლის აღზრდასაც და ფესვის გადგმასაც  
 ესლანდელნი აქაური მმართველნი ვეკლავდნენ სელს უმართა-  
 ვენ... ამ ორ სოფლიდამ დაუწევია მანც ცივილიზაციისა შე-  
 ტანა მთავრობას. უშკელებელის გალანით გამომზანტულან აჴ  
 ნაბთ სასახლები, ამათ პირის ფარქმად გვერდზე მშკენიერ  
 გალანით და სასახლით სკოლაც ამართულა. მშ. სკოლა არ  
 არის ცივილიზაციის შეტანა?! ნამეტნავად ვაგის სკოლა, სადაც  
 უბდრუკ რუსს, სამოქალაქო სასწავლებლიდგან გამოგლებულს,  
 თინეთიდგან მეტის-მეტის განათლების მომხრობისთვის გა-  
 მომზანურებულს, აქ ეძლევა საკმაო ფულები, რომ ინგილანი  
 განათლოს ნაბთან ჴედ დამატებიტ!... ეს გასლამთ ღვაწლი  
 ინსპექტორის ღისანოვისა, რომლის ოინებს თაბასები მოუნდე-  
 ბა ასაწერად... სხვათა შორის, არ ვინც რა მოსაზრებით, ეს  
 ბატონი მასწავლებლებს მამასახლისებს უქვემდებარებს, ქარ-  
 თულს სრულებით სდევნის სკოლებიდან და რუსს უგზავნის  
 მასწავლებლად უშკელებელის ღ ვეკლას მომხრობ ვაების შემდეგაც  
 ქართულად მოუბარს ინგილოებს!...

სხვა ინგილოთ სოფლებში კი სალნი შეურეკვლად ცხოვ-  
 რობს და კმაყოფილია იმითი, რაც ეძლევა მშკენიერ ბუნების  
 და თავიანთ მოჭირვების წყალობით. აქ, როგორც იქნება გა-  
 გიგათ კიდევ მკითხველო, უკიდური მდიდარ-ღარბობა არ არ-

სუბობს. მიზნები ამისი სხვაზე არის, მაგრამ უზიარტესი გიუს მეტად შესანიშნავი მიწის მიფლობელობის სისტემა გახლავთ. ცამდის აჭყავს ამ უკანასკნელ უმის მთელ განათლებულ კაცობის მისტების დასს რუსეთში საერთო მიფლობელობა თავის ექვსის თუ ათის წლის განაწილებით (передѣлы). ჩვენ, ქართველთაც ვაქვს საერთო მიწის მიფლობელობა ვარკე-კასეთში, ქიზიუში, მაგრამ მეტად ფართო და მარტივი\*). ხოლო საინგილოში სულ სხვა ყოფილა. ინგილოები მომეტებულად რიგზედ არიან დასახლებულნი: სახლები გზის აქეთა და იქითა ნაშირს მისდებიან გაყოფებით. უწყლასა აქვს სათემო მამულადამ მოჭრილი მშვენიერი ვაკე ეზო, ეზოს იქით სავანსე, ამ უკანასკნელს მოსდევს ხაღის ბაღი, მეტე სათიბო. სათიბს შემდეგ ისევ სათემო მიწები იწყობა, სადაც ყოველი ჯამათი ირჩევს სახაღს თუკე მიწებს და ანაწილებს კომლობრივ. აგრეთვე ყოველ წელს იქვე ირჩევენ საზურე მიწებს და ჭყოფენ; საბოლნეც ყოველ წელს ირჩევა და იყოფება ფჯასობის რაოდენობის მიხედვით. საბოლნეც ნახვას მეტადრე სასიამოვნო. აი შედიხართ, ვთქვათ, ს. ყორღანში — თქვენ გზვდებათ ყორღანელების

\*) ჯერ არავის არა უთქვამს: რა ამ გვარ ჩვენ საერო მიწის მიფლობელობაზე ქიზიუში, თუ ვარკე-კასეთში, სადაც სოფლებ შორისაც არ არის დაყოფილი სახანა-სათესი — ჰხნავ საცა გინდა და რამდენიც გინდა, მარტო არ უნდა მოჰხნა სხვის ნასიმინდარი — რათა? რომ ჰქითხო ხალხს — გიპასუხებენ — ნასიმინდარი გენახივით არის: მთელი წელი შიგ თოხს ატრიალებს პატრონი და როგორ მოჰხნამს სხვა, ღმერთი არ არისო!! — ბევრი, ბევრი რამ წმინდა ადათები არსებობენ: ჩვენს ხალხურ სამართალში, რაზედაც ჩვენ ჩვენდა სამარცხვინოდ თვალ-ყური არ გვიჭირამს, თუძცა საშიშია, რომ მალე მტარვალი დრო იმსვერპლავს მათაც.

ბოსტნები, ერთად მახსნუდნი, მუქე განაწილებული მიჯნებით, რომელზედაც დათესილია სიმინდი. ყველას ბოსტანში უთესიათ ნესვი და საზამთრო. საზოგადოებას საბოსტნეს თავში დაურჯვია უშველებელი ხეები და ზედ გაუმართამს საყარულა. ყოველ-დღე რჯახი თავის წილში სწუგეტს სამუხრუხ საზამთროს, თუ ნესვს. გარე-კახეთისა და ქიზიურის სათემო მინდვრებში კი მდიდრები სარგებლობენ ხალხე ბოსტნის მოყვანით—ჭინძრე სამოც და ასის დღისას საზამთრო-ნესვის ბოსტანს დაჭყდიან, რომორც ქალაქებში, ისე თავისვე სოფელში. უილაჯონი ამით თავიანთ გაფრქვნის იარაღს ამლევენ მდიდარ მოძქესვე და ინგილოსებურად ვერ გაუწყვიან საქმე. ყველა კომლის წინააღმდეგ ნარგებ ეზოს, ბაღის ხეხილს, ვენახს და სათიბს ინგილოები ეძახიან რუბს. რუბი თავდაპირველად ტოლი ყოფილა ყველასთვის, მხოლოდ ბოლო დროს სუიდას შეჭმარვით და ზოგ მდიდარს რჩი რუბიც უჭირავს. ყოველ-წლივ განყოფას და განაწილებასში კი ყველა ტოლია. საქართველოში დასახლებულ ნემეტრების კალონიებს, რომელთაგანაც ალტარებაში მოდიან ბევრნი ჩვენში, რც დაუვარდებიან ამ გვარ თადარიგში ინგილოს სოფლები: თავის რუბში ყველას აქვს მწვანე, ვაკე და მეტად სუფთა ეზო ხეხილებით სამსე (ხშირად ფუტურის სკებიც მოიპოვება) ზედ ქართულ თაროთი, მამა-პაპურ კერათი და დედა-ბოძით მოწითული ქართული დარბაზი, მხოლოდ ერთ მხარეზე ყველა ინგილოს დერეფანი გმელ ბაღყონის მგზავსს რამედ უჭტოვია. იქ დაუწვია მრავალი სის კოდები ბრინჯისთვის, თუ პურისთვის. შუა ეზოში დაურჯვია ღერძი, ღერძზე ურძის თვალი და თვალზე სუფთად დარცხილი სპილენძის წველის იარაღები შემოუმწკრივებია. უშველებელ მტკვალ სტოლად მიიღებთ ამას მშვენიერ მწვანე ფონზე. უმთავრესი

ამათი წარმოება ახრეშემია, რომელსაც კომლი ათის თუმნიდა მ  
 რც-დაათს თუმნიდა უოკელ წელს ჭყიდის. მამით-მამათ უფო  
 რა შესანიშნავი და მთელ ეკროპში გათქმული ტყის ხმარე-  
 ბის წესი ჭჭონიან ინგილოებს. უკელა სოფელს თავის სასოფ-  
 ლო ტყე აქვს, რომლის ნახევარს რამდენსამე წელს სხესამენ,  
 რომ პირველი გაიზარდოს ისევე გარშემო მუსუდმანთ სოფო-  
 ლებს კი თავიანთ ადათებზე და შარათებზე აქვთ მოწყობი-  
 ლი მიწის მთელობელობა და ძლიერ განსხვავდება ინგილოები-  
 სიგან. «როცა სოფელში რომელიმე კომლი გვეტყებაო, იმას  
 ან სოფლის თავში ვამდეკთ რებსა, ან სოფლის ბოლოში»,  
 მითხრეს ინგილოებსა ს. ყოვლანშია, რომელიც სხვა სოფლებ-  
 ზე უფრო კარგად ზრის გაშენებული. ამ რთხმაც წლის წი-  
 ნად ს. კაკში ახალ წესების წყალობით იქამდის მისულა სიქმი,  
 რომ რებსაც კი თავის დანიშნულება შესცვლია.

დაჭმეზავრობთ საინგილოში და გაკვირვებთ უკელა სოფ-  
 ლიდგან სოფელამდის გაყვანილი მშენიერი გზა-ტკეცილები.  
 გზის აქეთ-იქით ნაპირებში მწკრივად სესილები არიან ჩარეგ-  
 ბულნი. აუარებელი კაკლის სეების აქ გამწკრივებულნი, რომელ-  
 თაც ზოგან ჩრდილი გადაუბამთ. საიმოვნებით მიემკვავრები  
 ჩრდილ-ჭკვემ გველამაშასაბე მიკლანგილ-მოკლანგილ გზა-ტკე-  
 ცილზე. რ-სამ წელს უკან იჯარით გ-ტკემა ამ სესილისა  
 არამც თუ მთელ მაზრის შოსეებს შეინახამს, ფულს მისცემს  
 სხვა საჭიროების დასაჭამყოფილებლადაც. უკელა ესეები შე-  
 მოუღია უკვე მოხსენებულ ზაქათლის მმართველს შელგოკინ-  
 გოვს. უნებურად ჭკითხამთ თქვენ თავს ამის ნახეაზე: ამ მშენიერ  
 მხრის სიყვარულმა დაჭბადა კაცთ-მოყვარე და ენერგიით სამსე  
 გულში ამების დამყარება, თუ თავ-მოყვარულ ანგარიშმა. გზა-  
 ტკეცილები კი სულ უპირატესად მიქტეულნი არიან ზაქათლის-

კენ. იქნება აქ ჩანდეს მამლის ბოლო, მაგრამ მაინც დიდ მადლობის ღირსად ჰხდით კაცს, რომელის დაწესებულებას მუდღაც კი სტუმს დღეს ჰატივს და სიამოვნებით ამეწობს გზის პირში ჩაბრუნებულს ხეხილს!... საწყალი ჩვენი შიდა ქართველები გაწყალდებოდნენ საზარელ მებეგრეების ხელით, რომ ამდენი გზები ჰქონდეთ საბეგრად. კალამს წვერი მოსტყდება იმ საზარელ ოინების აწერაზე, რომელიც მოჰხდა თიონეთის შოსის გაკეთებაზე... აქ კი სამხედრო ადმინისტრაციას სულ უბრალოდ მოუმართამს ეს საქმე. რომ ჰკითხო გლეხს: ბევრს გამუშავენ ამ გზებზე? გიზასუხებენ, რომ ყველას თავისი წილი საკეთებელი გზა მოზომილი გვაქვსო, როცა გაფუტდება ან პირზე ხეხილი მოსტყდება, ან ხეს გარშემო წნული მოქმდება, გაკალთ და გაკაკეთებთო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ან ჩინოვნიკი ჩამოივლის, ან სსვა ვინმე დაგვაბეზლებს და დაგვშტრაფამენო.

სამხედრო მთავრობას აქ ყველა ჩვენ მზრების მმართველების წინააღმდეგ გამოუგონიათ: «**He дубьемъ бить народъ, а рублемъ**», მაგრამ არ კი დაივიწყეთ, რომ მმართველნი ასე იტყვიან აქ უბრალო შემთხვევის შესახებ, თორემ სხვაფრივ სამხედრო მმართველობის წესისამებრ: «კუტუშკა, ღ მერე «კატორგა» სრულს ძალაში» აქ... ძლიერად ეშინიანთ ინგილოებს ყველა ჩინოვნიკისა. მაგრამ «უსუსტნიათ» ამ ბოლო დროს, როგორც მითხრეს, და „ჭურდობა გავრცელდებულაო.“ ჭურდობა მართლაც სუფევს ინგილოებ შორისაც კი, და რასაკვირველია, როგორც სხვაგან, აქ ქონების უსწორ-მასწორად განაწილების შედეგი არ არის, არამედ პინადლოვნობის, ანუ შურის შედეგი უფროა.

ექს, რამდენ რასმეს გვეუბნება აწმეო ამ საღხისა! ბევრს

გვეტყობდა მისი ვაგონის წარსულიც, მაგრამ მუსუქმანურს ფანატიზმს, ამბოხების დროს, გუჯარი, ან რაიმე ქალაქის ნაგლეჯიც კი აღარ დაუტოვებია ინგილოს სასლში!... სიმღერა, ეს ეროვნების სულიც კი ამოუგლეჯნია მათ ხსოვნიდან და ქართულად მოლაპარაკე ინგილო დიდინებს ანუ მღერის თათრულად. ერთი ლექსი ქართული—ერთი ანდაზა აღარ მოიპოვნება მათ შორის!—ერთ ძველ ადათთაგანს კიდევ შევხვდი მე აქ. ეს გახლამთ წელიწადში ერთხელ საფლავებზე გამოტირკა ინგილოებისა—უფრო მარიაშხის თვის ერთს რომელსამე უკანასკნელს შაბათს. ჩემის აზრით ამათ ხსოვნაში ჩარჩენილას ქართული «სულთაობა», რომელიც ყოველთვის. 13 ენკენისთვის მოდის. ინგილოთ დაჭვიწეებით ნამდვილი მნიშვნელობა ამ ცერემონიისა და მღვდელი უნიშნამს რომელსამე შაბათს მარიაშხის თვეში. შუა-დღისას მოგროვდა ს. ალიბეგლოში მღვდლის მიერ დანიშნულ შაბათს მთელი ამ სოფლის ხალხი სასაფლავოზე ურმებით, კაცებმა საფლავები გაასუფთავეს, ხოლო ქალებმა ღ მათ შორის მცირე-წლოვანებმაც კი მწკრივზე დაინოქეს თავთავიანთ მკვდრის საფლავზე. უფროსი დედა-ბერი იწეობდა მოთქმას და დანარჩენი ხანს აძლევენ, ანუ ჭზარამდენ... როცა გრძნობაში შედიოდნენ, მაშინ უკელსაგან ისმოდა საშინელი გოდება, ლექსაობა ღ მთელ სასაფლავებიდან ისმოდა ერთბაში «ჭარაია ჭარაია!» (ვაიმე ვაიმე). ლექსებს ქართულადც ამბობდენ და თათრულადც.

### III

გამოვივილი ინგილოს სოფლებს. შემოველ ლევის უმკვლაველ სოფელ გულუგში, სადაც გზის პირზე დაუბამთ ავად-

მყოფობა.“ მრავალ დარტყმულ ჩხირებსე მწარედ გელიძებათ, თუძცა უძეცრებას, ეტუობა, ებრძვიან გუღუკელები, რადგან მეჩეთები ღ სკოლები ბლომდა აქეთ... ეჭ, მართლა არ იფიქრო, მკითხველო, რომ ვითომ აქ სკოლის საქმეს რაიმე ფესვი ჰქონდეს გამდგარი. მაჭმადიანთ მეჩეთები სკოლებითურთ უფრო ამახინჯებენ ხალხის ცხოვრებას ბ. ლინახოვის სკოლებთან ერთად, ზიდრე ანათებენ... შეველ ჩვენ მამა-პაპურ ჭარბი, ახლა საქათლად გადაკეთებულში. ერთ წუთს შემოვიარე პატარა ქალაქი—დასავლეთიდან ამართულ სასულევან ციხე-სიმაგრით, რომელიც, ვინ მოსთვლის რამდენ რამის მნახველია! ციხის ძირში სომეხთ საუდრიდამ გაისმოდა გალობა, რადგან შიგ წირვა იდგა. ქართულს აქ არა რა გეუბნება-რა. რუსი და ნუხის აუარებელი გაღიზული სომხები, აგრეთვე სამსახურში მყოფი თუ სავაჭროდ ქალაქში შემოსული ლეკები სხარხამენ აქ თავიანთ საქმეებს. ციხიდან ზარბაზანს გამოეყო ტუნი, რუსის შტიკებიც ელავდენ უედ... გამოველ საქათლიდამ მშენიერ ჩრდილში მიმავალს გზა-ტკეცილზე.—ჩვენი მამა-პაპური სასულევანი სიმღერა, «ჭარულლო ჭაანა და ჭარულო ბიჭო, ჭარულო და!...» მიხუზუნებდა ყურში. «ჭაი, ერთი პატარა ჭარული და შაება დიდსა ჭარულსა», «თოფები და თოფები ჩაასაღესაჭო» არ მშორდებოდენ ყურიდგან ამ ჩვენ უწინდელ მრავალ ომებში გათქმულ ციხესე ქართული შემოძახილი, საცადიპიანი სომხები დღეს თამამად დაბოტებენ. ჭარიდანვე იფილობა უშველებელი ციხე-გალავანი, გამოსდგეს იქიდან სოფელ კატესზე, მაწუსზე, ბელაქანზე, რამდენსამე ოც ვერსტზე. ესლას ეს გალავანი, რომელიც ქართველთ მიერ ამართულ იყო დაღესტნელთ წინააღმდეგ კიდეც კარგა ეტუობა და ლეკის სოფ-

ლებში ზედ ყურძნის მტკვნები საამურად გადმოვიდებულა. ხან-  
გრკვებზედ..

...«И на ней укоромъ

Вѣтви винограда

Расползлись узоромъ.»

მაკონდებოდა ჰოეტის თქმული..

ს. ბელაქანს რომ მივატანეთ, ჯერ ზოგან თოვლიან კაჭკა-  
კასიის მთის ქვეშ, სვეის პირზე ჩემთან მეოფმა მიძითითა  
მურთუზ ალიას სახლზე. იმ მურთუზ ალიასაზე, რომელმაც  
მოკლა შელეოვნიკოვი. მურთუზ ალია ყოფილა ბეგი ბელაქე-  
ლებისა, სახლი მისი დღესაცა დგას ქრისტიანულ დაქტეულ საფ-  
დარზე. თითონ მურთუზა ყოფილა რუსის ჯარში კაპიტანად.  
რადგან ბელაქანში სცხოვრობენ მეორე ქრისტიანი ბეგნი-გა-  
ლაჯოკები (წინანდელი ვახნაძეები), იმიტომ ამათ შეუტანიათ  
სახივარი, რომ მურთუზ ალიას სახლი ნაშენია ჩვენის მამა-პაპის  
ველესიაზედა და ჩვენვე უნდა დაგვიბრუნდესო. ამბობენ, მთავ-  
რობა გალაჯოკებს მიუდგაო, მურთუზს ეს ეწეინა და ნელ-  
ნელა მთელ ზაქათალის მასრის მუსულმანებთან დაიწყო მო-  
ლების და ეფეხდების შემწეობით ქადაგება, რომ მუსულმანო-  
ბას ცუდი დღე ადგასო.. მერე ბელაქანშივე მეოფე მამადიანთ  
რადაც წმინდა საფლავზე ღამ-ღამით მომხრეებმა დაიწვეს გა-  
ფიცვა და ერთ მშვენიერ დღეს ეგელა მამადიან სოფლებში  
შესძასეს მუსულმანებმა ჩვეულებრივის სმით: «ვერა ჭხედავთ  
მუსულმანებს, ვერა ჭხედავთ, სჯული მამადისა ისპობა!» ამ-  
ზე გაცოფებული ფანტიზმით მოჩობდა და გროვდებოდა  
უკონდასო თოფებით, თუ უბრალო ჯარსებით ლეკი დასემოთ  
ნათქვამ შემოდასილს ბანით ათავებდა: «ლა ილაჭა ილ ალაჭა, მამ-  
მად რასულ, ალაჭა...» ამ საშინელ ძახილით მურთუზი ზაქათ-

ლესკენ გაუძღვა ჯარს—არ გადაუდგამს რამდენიმე ნაბიჯი ბელაქნიდამ, როცა ერთის გალაკოკისაგან დაბეჭდებულს, მას შეესვენა შელგოზნიკოვის ჯარი წარბანებით. მურთუხი გაიძაბათა თავის ჯარით გზის პირასე, აღდესე. შელგოზნიკოვმა ქვემოდამ შეძრასხას: «ჭაი, მურთუხ, ჩემო მურთუხ! რამ გაგაგიუა, ჩაბო აქ, შე ყველა მიპატიებია!» მურთუხმა მოწიწებით მოასხენა: «შეგდი, გენერალო, ძაპატიეო» ღ ჩამოვიდა ძირს... შელგოზნიკოვმა ხელი მიპწოდა ჩამოსართმევად ღ მურთუხმა კი ამ დროს გუჯში დასცა დამბანა... რუსის ჯარი ლეკთ იფრანეს... მატრამ შაქათლამი კი შანტასეუბ დაწყუნენ საბრალენი..

საშინელია მატრადანთ ფანტიზმი!... აი შეუღამეს და მე მშეენიერ სოფელ კობახროსე მივემგზავრები. მამლების აუარებულ უიგილთან შეჩითიდან ხან იქ შესძახებს მოლლა, ხან აქ აღვიძებს მუსულმანთ, რომ დროა ლოცვისათ—მეც კხედამ იქვე ლეკებს, რომელნიც ღეების ამ ხმაზე, იღებენ წელით რკინის ლიტრებს და შერებთან «ხამასა» (ლოცვა). სოფლები ღ მქეთები საშინელ რელიგიურ წკრთნის კალაპოტში სამეფულად არსებობენ ამ უშეკლებელ სოფლებში!.. ბელაქანი მაკალითად ისე დიდია, რომ ცხრა მამასახლისის თანა შემწე, ანუ ნაცვალე ქვაკთ! კობახროში ხუთი!... გაიური ამათთვის უოკელ უმს სიკვდილის, გამუსკრის ღირსია... ურუნტელი მიკლიდა უნებურად ტანში, როცა ამთ სოფლებიდან პირდაპირ სიღნაღის გარშემო ზედი ზედ მაკრუსწიწილებულ ქიზიუს ვატქედებოდი; საიდანაც ხანთლებს სინათლედ კი მოჩანდა.

რეკრეცი იყო. მე გავტოპე ალასანში, გადავდგი ფესი ქიზიუის არე-მარეში და კალაბზე, იქვე შემსგდენ უშეკლებული ქიზიუელთაგანნი, რომელთათვისაც დაღისტნელი ბელაქნე-

ღება თითქმის ბურსებიც არ არიან, ისე ფილოსოფიურის მიდინა  
ჯივით დასძახადენ «ჭოროკვლას...» იქვე კი შეწინააღმდეგებთ უფუ  
რებდენ ვიწებით ნისიის მკრეფაც სომხის შიის ბიჭებს...

## IV

შუა-დღე იყო, რომ ბოდბის-სივრის სათაურში დიდშენ,  
მშვენიერ და გუმბათოვან ეკლესიას წმინდის ნინოსას მოვადექ.  
წინარმა მღვდელმა იმერთაგანმან გამიღო კარი მამა-პაპათ სს-  
ლოცვისა და ძალე მოწიწებით ვათვლიერებდი წმინდა ნინოს  
საფლავს, შემეღუს მეფე ბაქარ 25-ისაგან. საწყალი უგანას-  
კნელი ბოდბელი (ეპისკოპოსი, გვარად მყაშვილი), იქვე სვეტ-  
ზე შემოსილად დასატული, თითქმის დაფიქრებით, უმზერის საფ-  
ლავის მარმარილოს ღოდს, რომელიც შირდაშირ კარებიდამ  
მოხანს. ზურგი შეუტყვი იქვე კედელში მდებ საფლავის ღო-  
დისთვის პირველ რუსის ეგ'ხარხოსისა, რომელსაც სდომები  
ამა საღთთა სასსოკრის და სიწმინდის მოსკოვში გადატანა —  
მაგრამ მართლ-მსაჯულებას აღარ უტლია მისთვის...

«აი, დედოფლის ნაქსოვნი ენქერი!» «აი ძვირფასი ქსო-  
ვილი მეფისვე შემწირული!» მეუბნებოდა მე, ფიქრებით სავ-  
სეს, წინარი სმა მღვდლისა, როცა თავს ვადექით უშველებელ  
ეკლესიის ძვირფასს სამოსლით სავსე საღაროს... ძვირფასი ძვე-  
ლებური ბარბი-ოქმშემნი, სანაწილენი, შინდლები, ჯვრები—  
რიგზე დაეწყო მღვდელს—მაგრამ რანის ჯვარი ოტაცებს ჩემს  
ურდადლებას, ჯვარი ომებს და უამთა-ვითარებისგან გაშავებუ-  
ლი! ეს ჯვარი სასხსსვეტო, წინამძღვარი ომებს და ღაშ-  
ქრობაში სრულის სადროშის, ქაზიფიდამ მოყოლებული სოფ.

კონდოლამდე!.. ბევრჯერ მოსდით ხოლმე მოწერილობა საწ-  
ყალ ამ ეკლესიის მოსამსახურეთ კანტორიდან, რომ ეგ გან-  
ძეულება ჩვენ გადმოგვეცითო, მაგრამ, საწულების ცოტადენ  
უარ-ყოფობით აქამოდე რჩება კიდევ რამ აქა. უკვლა საქართვე-  
ლოს ეგ უარხოსს მუქთად დება ამოდენა ძვირ-ფას სამოსლისა  
ენანება ხოლმე და თავიანთ მოსულის დროს სწირამენ ხოლ-  
მე აქა. ხოლო აწინდელს მოსუვისა და კოლომნის მიტრო-  
პოლიტს იოანიკეს კი ცივად უკვლა აეთვალეუბინა და მერე  
ღიმილით ებძანებინა: კინ იცის, აქ არის მართლა დაფლული  
წმინდა ნინო?! ძნელი დასაჯერებელია?!... არც წიკვა, არც...

შაქრო.

## მართული თეატრი.

